პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 133 (9601) | კვირა, 7 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ლიბერალიზმის წინააღმდეგ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
შ. ჭოჭუა. — უდარდელობა თუ აშკარა დანაშაული? (მე-2 გვერდი).
გენიალური კრიტიკოსი (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — უმნიშვნელოვანესი თემა (მე-2 გვერდი).
ა. ადამია. — წყალტუბო (მე-3 გვერდი).
ა. ბურთიკაშვილი. — „ხვალინდელი დღე — ჩვენი ეკუთვნის" (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე. — ი. ტაბაღუა. — ტრუმენის „პროგრამის მეოთხე პუნქტი" და „ეკონომიკური [illegible] (მე-3 გვერდი).
„მშვიდობის, სიხარულისა და [illegible] (მე-4 გვერდი).
გაიხსნა ქალთა მსოფლიო კონგრესი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

ლიბერალიზმის წინააღმდეგ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში

მეტად სერიოზული, დაძაბული შრომის დღეებია სკოლებში — მიმდინარეობს კლასიდან კლასში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

ეს არა მარტო მოსწავლეების, არამედ მთელი პედაგოგიური კოლექტივის, ჩვენი სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების გამოცდაა — ჯამდება სასწავლო წლის მუშაობის შედეგები. სკოლა ახლა იმკის სასწავლო წლის პირველი დღეებიდან გამოცდების დაწყებამდე გაწეული შრომის ნაყოფს.

რა სურათს გვაძლევს გამოცდების მიმდინარეობა?

გამოცდები გვიჩვენებენ, რომ მოსწავლეთა უდიდეს ნაწილს კარგად აქვს შეთვისებული პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, სწორად განმარტავს მიჩურინული ბიოლოგიისა და პავლოვის მოძღვრების საფუძვლებს, ნათელი წარმოდგენა აქვს ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, დაუფლებულია მათემატიკურ საგნებს, უნარიანად იყენებს ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების პრინციპებს კონკრეტული ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის დროს.

ჩვენი სკოლების მიერ მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის გადადგმულმა ნაბიჯებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ მოსწავლეები გამოცდებზე მოხერხებულად იყენებენ კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებს ცდებზე და პრაქტიკულ სამუშაოებში.

მაგრამ ამ საერთო წარმატებებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა შედეგები თავს იჩენენ მიმდინარე გამოცდების პერიოდში.

მუშაობის მანკიერმა სტილმა, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივნებმა კ. ჩარკვიანმა და ა. მგელაძემ დენერგეს რესპუბლიკაში, თავისი გავლენა იქონია სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაზეც. მთელმა რიგმა სკოლებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა დაივიწყეს უპირველესი პრინციპი — მიცეცთ მოსწავლეს ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა. ამ პრინციპის გატარებისათვის ბრძოლა ბევრგან შეცვლილ იქნა ფორმალიზმით, ლიბერალიზმით მოსწავლის ცოდნის შეფასებაში. ადგილი ჰქონდა პარადულ ხმაურს მოსწავლეთა არარსებულ აკადემიურ წარმატებებზე. სკოლების დირექციებისა და სახალხო განათლების ორგანოების კონტროლს მოკლებული ზოგიერთი მასწავლებელი თვალთმაქცობდა, ატყუებდა სკოლას და სახალხო განათლების ორგანოებს, არამართებულ ნიშნებს უწერდა მოსწავლეებს, ან კიდევ ხდებოდა პირიქით — კეთილსინდისიერი და თავისი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ზოგიერთი მასწავლებელი განიცდიდა შევიწროებას, — მისგან მოითხოვდნენ მართებულად დაწერილი დაბალი ნიშნის გადასწორებას.

იქ, სადაც მასწავლებელი თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგას, სადაც მას თავის კეთილშობილურ საქმიანობაში მხარს უჭერენ, გამოცდებმა საუცხოო სურათი გვიჩვენა. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ფოთის, თელავის, მახარაძის სკოლებში ცოტანი როდი აღმოჩნდნენ ისეთი მოწინავე მასწავლებლები, რომელთა მოსწავლეებმაც საგნის, გავლილი მასალის, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მაგრამ ყველა მასწავლებელი როდი ეუდგება მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით. ქობულეთის 1-ლი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩაუსწორა საგამოცდო ნაწერების შავი და შემდეგ გადაათეთრებინა. ეს დანაშაულია. გამოცდებზე, როგორც სარკეში, ჩანს მასწავლებლის ნამდვილი სახე. და ეს სარკე, სამწუხაროდ, არაერთ მახინჯ სახეს გვიჩვენებს. განა მასწავლებლის უუნარობას, სისუსტეს, მის მოუმზადებლობას არ ამჟღავნებს ის, რომ აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ბაბუშარის რვაწლიანი სკოლის მერვე კლასის 12 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ ამოხსნა ამოცანა და მაგალითები ალგებრა-არითმეტიკაში? ასეთივე მდგომარეობა იყო გაგრის რაიონის სოფელ წინსვლის რვაწლიან სკოლაში. თავიანთი წლიური შრომის ასეთი „ნაყოფი" მოიმკეს აღნიშნული სკოლების მასწავლებლებმა ჟ. კუპრავამ და ა. მელქონიანმა, ეს კი სასწავლო წლის მანძილზე მათი სუსტი მუშაობის შედეგია. გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის რვაწლიანი სკოლის მერვე კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა ამოცანა მათემატიკაში, რადგან მასწავლებელმა ს. ჭიღლაძემ მათ ამოცანის ამოხსნის არასწორი გეზი მისცა. აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ სამუშაოდან მოხსნა ქობულეთის რაიონის სოფელ კონდიდის რვაწლიანი სკოლის მერვე კლასის მათემატიკის მასწავლებელი გიორგაძე. მის საგანში ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა ამოცანა და მაგალითები. განათლების ორგანოებს რომ დროზე, გამოცდებამდე მიეღოთ ზომები, ასეთი სამარცხვინო ფაქტი თავიდან იქნებოდა აცილებული.

მასწავლებელს, მის საქმიანობას, საგნის სწავლებას, მოსწავლეთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა-შეთვისების საქმეს თავიდანვე უნდა ექცეოდეს ყურადღება, ეწეოდეს კონტროლი. სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მთელი ძალები სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა იყოს მიმართული მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, ლიბერალიზმის, პარადულობის, არაკეთილსინდისიერების წინააღმდეგ, ყველაფერი დაეკვემდებაროს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლას.

საჭიროა აღიკვეთოს სკოლაში „მეურვეობა", მფარველობა ეგრეთწოდებული „მედალისნობის კანდიდატებისადმი". მედალი უმაღლესი ჯილდოა მოსწავლისა და იგი მოსწავლემ დამსახურებულად, თავისი შეუხებელი შეჯითი შრომით უნდა მიიღოს და არა „შეურვეობით" და მფარველობით. უნდა აღიკვეთოს საქმისადმი საზიანო დაინტერესება სკოლის დირექტორებისა და საგამოცდო კომისიებისა — რადაც უნდა დაუჯდეთ „მედალზე გაიყვანონ" მოსწავლე.

სწორედ ასეთ ცდას — „მედალზე გაიყვანათ" სუსტი მოსწავლეები, სამარცხვინო შედეგი მოყვა. 644 მედალისნიდან, რომლებიც 1952 წელს ჩარიცხულ იქნენ ჩვენი რესპუბლიკის 15 უმაღლეს სასწავლებელში, ზამთრის სესიებზე ყველა სასესიო საგანი „5"-სა და „4"-ზე ჩააბარა მხოლოდ 446-მა სტუდენტმა. ბევრმა მედალისანმა მიიღო „სამიანი" და „ორიანიც". უმაღლეს სასწავლებლებში სესიებზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ნორიოს საშუალო სკოლის, თბილისის ქალთა მე-19, მე-20 და 44-ე, გურჯაანის, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის, თეთრი წყაროს ქართული, კასპის, სუხუმის ვაჟთა 1-ლი, ბორჯომის ვაჟთა, ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის, ზუგდიდის ქალთა მე-2, გარდაბნისა და სხვა საშუალო სკოლების მედალისანმა კურსდამთავრებულებმა.

მასწავლებელი, სკოლა პატივს უნდა სცემდნენ მოსწავლის შეფასების ნიშანს. იგი უნდა იწერებოდეს ღრმა მოფიქრებით, სამართლიანად. ხელოვნურად შექმნილი მაღალი ნიშნებით არ დაიფარება მოსწავლის უცოდინარობა, სკოლის სუსტი მუშაობა. ასეთი ნიშნების სიყალბეს თვით ცხოვრება ამხილებს.

გამოცდები სკოლებში უმნიშვნელოვანესი სახალხო საქმეა. სახალხო განათლების ორგანოებს ეკისრებათ მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საქმეს.

სკოლის პარტიული ორგანიზაციები გამოცდების წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლის ავანგარდში უნდა იყვნენ. სწორი, მუდმივი პარტიული ხელმძღვანელობა ჩვენი სკოლის წინაშე დასმული ამოცანების ღირსეულად გადაჭრის საწინდარია.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

დაიწყო ქერის აღება

წითელწყაროს, 6 ივნისი. (ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა შეუდგა ახალი მოსავლის ქერის შერჩევით აღებას. მკაზე გავიდნენ შირაქის მტს-ის ორი კომბაინი და კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეშვიდე ბრიგადა.

7 ივნისს ქერის აღებას იწყებს ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

წყალტუბოს რაიონში მიმღებ პუნქტს პირველად ჩააბარა ახალი მოსავლის მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი სოფელ წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ლოლა აფხაძემ.

ქისტაურელ შეაბრეშუმეთა გამოცდილების გამოყენებით მან ჭიის გამოკვება 19 დღეში დაამთავრა, 7 გრამ თესლზე მიიღო 37,3 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად 19,6 კილოგრამისა და გეგმა 190 პროცენტით შესრულა.

(„კომუნისტის" კორ.).

30 000 კილოგრამი ვარდის ფურცელი

ყვარელი. („კომუნისტის" კორ.). ასეთი ბევრი და კარგი ხარისხის ყაზანლიყის ვარდი, როგორიც წელს, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებს არც ერთ წელიწადს არ მიუღიათ. ეთერზეთოვანმა ქარხანამ უკვე მიიღო და გადაამუშავა ათიათასობით კილოგრამი ვარდის ფურცელი.

ყვარლის კოლმეურნეობა „ოდაბაგორას" გაშენებული აქვს რამდენიმე ჰექტარი ვარდის პლანტაცია. წელს პლანტაციები საუკეთესოდ დაამუშავეს. კოლმეურნეებს შრომა დაუფასდათ. გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ვარდი მოკრიფეს.

ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ეთერზეთოვან ქარხანას დიდი რაოდენობით ყაზანლიყის ვარდი ჩააბარა.

რაიონში ვარდის კრეფა გრძელდება.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეოგებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ცნობებით, 5 ივნისისათვის საბჭოთა მეურნეობების ხაზით ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 24,7 პროცენტით, ივნისისა მაისის დანაკლისის ჩათვლით კი — 18,8 პროცენტით.

ცალკე საბჭოთა მეურნეობებში კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: გონიოს საბჭოთა მეურნეობას ივნისის გეგმა მაისის დანაკლისის ჩათვლით შესრულებული ჰქონდა 25 პროცენტით, სალიბაურის — 21,9, ჩაქვის — 25,3, ოჩხამურის — 24,7, აჩიგვარის — 16,7, მოქვის — 18,1, ნატანების — 30,3, ლაითურის — 23,8, ნარეჯის — 32,4, ნასაკირალის — 18,9, წულუკიძის — 7,2, დიდი ჭყონის — 20,3, ლესიჭინის — 12,1, ინგირის — 16,1, ნარაზენის — 25, ხეცერის — 23,4, წალენჯიხის — 12,2, ხიბულის — 18,5, გეჯეთიხას კი — 100 პროცენტით.

16 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ერთ ჰექტარზე

დიდი შრომითი აღმავლობაა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეთა დაუღალავი შრომით მიღებულია ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი, რაც ახარებს მათ და აღფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ხუცუბნელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვას, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს დროულად მოკრიფონ ფოთოლი, არ დაუშვან მისი გაუხეშება, დანაკარგი.

კოლმეურნეობაში გამრავლდა მოწინავეთა რიგები. მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ასმათ ეიეავაძე იბრძვის მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 16 ათასი კილოგრამი ჩაის მოყვანისათვის. ახლა ის დღეში 100 კილოგრამ ფოთოლს კრეფს.

რგოლის წევრები საუკეთესოდ უვლიან ჩაის პლანტაციებს, ფოთოლს ყოველდღიურად კრეფენ და იძლევიან შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გადიდების მაგალითებს. სურათზე: მერგოლური ასმათ ეიეავაძე ჩაის ფოთლის კრეფაზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ნახევარი წლის გეგმა ხუთ თვეში

გორი. („კომუნისტის" კორ.). მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაისში დიდად დაწინაურდა საყუთე-საკასრე ქარხანა, რომელიც საფუთავ საშუალებებს ამზადებს რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთათვის.

ქარხანამ ხუთ თვეში ნახევარი წლის გეგმა გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 198 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მარტო მაისში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 86 ათასი მანეთის პროდუქცია.

წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმას გორის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი. აქაც 5 თვის დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული, გამოშვებულია მრავალი ათეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. განსაკუთრებით კარგად ამუშავეს მექანიკურმა, სახერხ-საავეჯო, საშენ მასალათა და სხვა საწარმოებმა. ლუდ-ლიმონათის ქარხანამ კი ლუდის გამოშვების გეგმა 6,3 პროცენტის გადამეტებით შეასრულა.

გურჯაანელი მეკონსერვეები მზად არიან

გურჯაანი. („კომუნისტის" კორ.). გურჯაანის საკონსერვო ქარხანამ გასულ სეზონში გეგმის გადამეტებით 400.000 პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვა. მეკონსერვეები წელს უფრო მეტის გამოშვებას ვარაუდობენ.

ქარხანა ახალ სეზონს მომზადებული ხვდება. შეკეთებულია მთავარი დანადგარები, წყალსადენი, საორთქლე საამქრო და სხვ. მოეწყო ხილის გადასამუშავებელი ახალი ნაკადი, სადაც დღეღამეში 30 ტონა ხილი გადამუშავდება.

10 ივნისიდან ქარხანა დაიწყებს კაკლისა და თეთრი ბალის მურაბის ხარშვას.

მშრომელთა დასვენებისათვის

ბათუმი. („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში გაიხსნა ბათუმის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკის საზაფხულო სეზონი.

პარკი კარგად მომზადა სეზონისათვის. წელს ბევრი რამ გაკეთდა ზღვისპირა პლაჟის, ხეივნებისა და მოედნების კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის. პლაჟის გაყოლებით გაშენდა ცოცხალი ყვავილების ღობე, აგებულია ბამბუკის შენობა ღია ბიბლიოთეკისათვის, კეთილმოწყობილია და რეკონსტრუირებულია სასპორტო მოედანი, შეკეთდა შხპის ოთახები. პარკში დაიდგა ელექტროსაათები, რადიორუპორები.

სეზონისათვის პარკში გაიხსნა ბევრი ახალი სასურსათო და გამაგრილებელი წყლების კიოსკი, მოწყობილია აერთვე დატარებითი ვაჭრობა, გახსნილია „სოიუზპეჩატის" კიოსკი, საყვავილი. გაზაფხულზე პარკის მწვანე სამოსელს ათასობით დეკორაციული მცენარე და ყვავილოვანი ბუჩქი შეემატა.

ზესტაფონი. („კომუნისტის" კორ.). მიმდინარე წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება ფეროშენადნობთა ქარხნის 230-მე მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. ხოლო ქობულეთისა და ბათურიანის პიონერთა ბანაკებში ზაფხულის სეზონს გაატარებს მეტალურგთა 300-ზე მეტი ბავშვი.

შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის

პირობას ვავანაღდებთ

ჩვენი კოლმეურნეობა ენერგიულად შეუდგა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების განაღდებას. მაისში მრეწველობას მივეცით 116 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დავალება 106,4 პროცენტით შესასრულეთ. კრეფაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც ვ. ჩუხუა ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ ჩაის კრეფის ივნისის დავალება 15 რიცხვისათვის გაანაღდონ და გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 20 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კ. შეროზია,
ზუგდიდის რაიონის ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მოწინავეთა გამოცდილებით

ზუგდიდელთა მოწოდების პასუხად ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ჩავებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩაის კრეფის მაისის დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ, კრეფა ივნისშიც გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. დაწინაურდა თ. ფარულავა ბრიგადა. კოლმეურნეები თ. გადელია, ე. ფარულავა, ლ. ინჯია, ნ. ჭარდავა დღიურ ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია ზომებს იღებენ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების დანერგვისათვის.

ვ. დიხამინჯია,
სუხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების" თავმჯდომარე.

რკინიგზელის დღისათვის

მძიმე წონის მატარებლებით

ხაშური. („კომუნისტის" კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივმა განვლილ ხუთ თვეში ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმას 17 კილომეტრით გადააჭარბა, ტექნიკური სიჩქარე საათში ორი კილომეტრით გაადიდა და მძიმე წონის მატარებლებით გეგმის გადამეტებით გადაზიდა რამდენიმე ათეული ათასი ტონა სახელმწიფო ტვირთი.

მაისში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს დეპოელმა სტახანოველებმა. ხარატმა ნ. გიგუაშვილმა განვლილ ხუთ თვეში ათი თვის გეგმა შეასრულა, შემდღეღებელმა ა. ქურდაძემ—ათ თვენახევრის, ელექტრო ზეინკალმა ი. დვითაძემ — 11 თვისა და ზეინკალმა ვ. ცაცანაშვილმა — მთელი წლის გეგმა გაანაღდა.

მეორთქლმავლეების წარმატება

გურჯაანი. (საკ. კორ.). გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება გურჯაანისა და სანაინის (სომხეთის სსრ) სადორთქლმავლო დეპოებს შორის. ამ შეჯიბრებაში გურჯაანელი რკინიგზელები თანდათან აძლიერებენ მუშაობის ტემპს, იბრძვიან დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის და სანაინელებთან გამარჯვებისათვის.

სასახელო წარმატებებია მოპოვებული მაისში. ლუნინელმა მემანქანეებმა ვ. ნიკოლეიშვილმა და კ. მეკავიამ ორთქლმავლის გარბენის გეგმა 160 პროცენტით შეასრულეს. მარტო ოცი დღის განმავლობაში მათ 6.000 კილოგრამი საწვავი დაზოგეს. ზ. ყანდინაშვილმა და ნ. ვარამაშვილმა გარბენის დავალება 50 პროცენტის გადამეტებით გაანაღდეს და ოც დღეში 11.600 კილოგრამი საწვავი დაზოგეს.

ადიდებენ ტვირთბრუნვას

რუსთავი. („კომუნისტის" კორ). რკინიგზელის საკავშირო დღისათვის მზადების პირველი ეტაპი — მაისი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებით აღნიშნა: სახელმწიფო ტვირთზიდვისა და ვაგონების შეკეთების გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა.

წარმატებები მოიპოვეს მტვირთავთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. მაქსიმენკო ხელმძღვანელობს, მოწინავე მემანქანეებმა ა. გაგუამ და კ. სიხარულიძემ.

რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა იკისრა ივნისში ტვირთზიდვის გეგმა მეტი გადაჭარბებით შეასრულოს, გეგმის გადამეტებით შეაკეთოს 5 ვაგონი და დაიჭიროს ვაგონების ბრუნვა.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში

პირველი განალეწი მარცვალი სახელმწიფოს

ქარში. კაშკა-დარიის ოლქის კოლმეურნეებმა გაიჩაღეს ჰურეულის მასობრივი მკა. ამავე დროს დაწყებულია პირველი განალეწი მარცვლის ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

ახლოვდება მოსავლის აღების დღეები

ქიევი. უკრაინაში ყვავილობს შემოდგომის ჰვავი. რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში აყვავილდა შემოდგომის ხორბალი. კოლმეურნეები და მექანიზატორები ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციას.

უკრაინის ასზე მეტმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა დაამთავრა კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების შეკეთება. ათასობით კომბაინის აგრეგატი უზრუნველყოფილია მაღალეფექტიანი და ჩაწოლილი ჰურეულის სამკალი მოწყობილობით. კომბაინების გავლის შემდეგ მანდვრებზე ნამჯის მოსაგროვებლად მომზადებულია 7 ათასზე მეტი სატრაქტორო და დაახლოებით რვა ათასი ცხენის კაბდო. კოლმეურნეობებში დამთავრებულია მოწყობილობის დამზადება, შეკეთება და დადგმა 5.500 მექანიზებულ კალოზე.

5 ივნისი. (საკრესი).





სულ უფრო მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები, რაიონული ცენტრები და სოფლები. ახალმა მრავალსართულიანმა არქიტექტურულად გაფორმებულმა სახლებმა, ფართო მოასფალტებულმა ქუჩებმა, მწვანე ნარგავებმა სრულიად შეუცვალეს მათ სახე. სურათებზე: 1. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის გამგეობის შენობა, რომლის წინ გაშენებულია სუბტროპიკული მცენარეების ლამაზი ბალი. 2. თელავის აბრეშუმაღსაღები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქ უკვე შესახლდა 50 ოჯახი. 3. წითელწყაროში საქნავთის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ფოტო ვ. გინზბურგის, მ. თელიაშვილის და შ. ჩხეტიანისა.

უდარდელობა თუ აშკარა დანაშაული?

პარტიის კასპის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მოსავლის აღებისათვის მზადება და ნათესების დამუშავება თვითდინებას მიანდეს.

მალე დაიწყება მოსავლის აღება, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სამწუხაროდ, კასპის რაიონში ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. კასპის მტს-ი საამისოდ ცუდად ემზადება. აქ ახლაც შეუსრულებელია კომბაინის რემონტის გეგმა.

შარშან მეოთხე კვარტალში გეგმით უნდა შეეკეთებინათ 4 კომბაინი, მაგრამ თავი არ შეიწუხეს და სამუშაო ჩაშალეს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 2 კომბაინიდან არც ერთი არ შეუკეთებიათ. თვითდამშვიდებამ კასპელები აშკარა ჩამორჩენამდე მიიყვანა. რემონტზე მომუშავეები უპასუხისმგებლობას იჩენენ, მექანიზატორთა შორის დაბალია შრომის დისციპლინა. მაგალითად, კომბაინის რემონტზე მომუშავე კ. პატარქალაშვილმა 18 და 30 აპრილს, 14, 19, 25 მაისს უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო. ასევე იქცევიან მ. შაყულაშვილი, ვ. ხოვერაშვილი, ვ. შაყულაშვილი, შ. ხმალაძე. ამ მდგომარეობას მტს-ის დირექტორი შ. ხორიაშვილი კი გულდამშვიდებით შესცქერის.

ჩამორჩა სალეწი მანქანების რემონტიც. 29 მაისს ეს სამუშაო დაიწყეს გ. იორამაშვილმა და ს. გეჯაძემ, ხოლო შემდეგ დღეებში მათაც რემონტს თავი მიანებეს.

პურეულის მკის დაწყებამდე საჭიროა თვითეული კომბაინის აგრეგატი დავაკომპლექტოთ მომზადებული კადრებით, შევადგინოთ კომბაინის მოძრაობის გეგმა-გრაფიკი, მაგრამ აქ არც ამისათვის იწუხებენ თავს. აკლიათ უბნის 2 მექანიკოსი. სახელოსნოს გამგე ა. ბასიაშვილი გადაიყვანეს სამთავისის მტს-ში სამუშაოდ, ხოლო მის მაგივრად კასპის მტს-ში არავინა ჰყავთ.

მოსავლის აღებისათვის მზადებაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს თეძამის მტს-ის კოლექტივს. ზანტად მიმდინარეობს კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი. ყურადღება არ ექცევა ხარისხს. არის თვალისახვევის ფაქტები. მაგალითად, თვითმავალი კომბაინი, რომელიც შეაკეთა ვ. გაბოძემ, კომისიამ 30 მაისს მიიღო და რემონტი დამთავრებულად ჩათვალა. სინამდვილეში კომბაინის ამწევი მექანიზმის ბილი გაბზარული აღმოჩნდა, ტრანსპორტიორის მთავარი კბილანაც არ იყო წესრიგზე მოყვანილი.

კომბაინის რემონტისათვის აკლიათ ხის მასალა, კბილანები. ამ მხრივ დიდი საყვედურის ღირსია საქსოფლმომარაგება. ამ მტს-ისათვის გამოყოფილი კომბაინების ნაწილები მათ სხვას მისცეს.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სალეწი მანქანების რემონტის მხრივ. გეგმით გათვალისწინებული 5 სალეწი მანქანიდან შეკეთებულია მხოლოდ ერთი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სამთავისის მტს-შია, რომელიც მეორე წელია, რაც დაარსდა. მოსალოდნელი იყო, რომ მას უფრო მეტ დახმარებას გაუწევდნენ. მაგრამ ასე როდი მოხდა, ჯერ სარემონტო სახელოსნოც არ მოუწყვიათ, მანქანების შეკეთება მინდვრად უხდებათ. ეს იწვევს შრომის ნაყოფიერების დაცემას.

სარემონტო სახელოსნოს მშენებლობა გეგმით შარშან უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ დავალება სანახევროდ არის შესრულებული. სამუშაოს გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის ქარელის რაიონის სოფლშენის კანტორას და მის უფროსს შ. დვალს. ასევე ჭიანურდება მანქანა-იარაღების ფარდულისა და საწვავის შესანახი საწყობის აგება.

ეს ნაკლოვანებანი ცნობილია პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომისათვის, მაგრამ ისინი მაინც არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან მტს-ებს მოსავლის აღებისათვის მომზადებაში. 22 მაისს რაიკომმა ბიუროზე სპეციალურად განიხილა კასპის, თეძამისა და სამთავისის მტს-ებში კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის მიმდინარეობის საკითხი. ეს საკითხი მოამზადა რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ი. სოზიაშვილმა. მან ნაჩქარევად შეისწავლა მტს-ებში არსებული მდგომარეობა. დადგენილება მიიღეს, მაგრამ გარდატეხა მაინც არ მომხდარა. ეს იმით იახსნება, რომ რაიკომმა თავიანთ დადგენილება არ განმტკიცა ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობით. ამ საკითხზე დადგენილების ამონაწერი მტს-ების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს 2 ივნისისათვისაც არ ჰქონდათ მიღებული.

მოსავლის დროულად აღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მარტივი მანქანებისა და ხელის ინვენტარის მომზადებას. ამ მხრივაც რაიონში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ს. კოტეტიშვილმა იმიც კი არ იცის, თუ რაიონში მოსავლის აღებისათვის რამდენი მარტივი მანქანა და საწყობია საჭირო. სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აკლიათ 300 ცალი ტომარა, შეუკეთებელია ურმები, კევრები, წესრიგზე არ არის მოყვანილი მარცვლის შესანახი საწყობები, ხორბლის ფართობებზე მისასვლელი გზები შესაკეთებელია. თითქმის ასევეა სურათია სოფელ მეტეხის, ნოსტეფა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ახალი მოსავლის ხორბლის მისაღებად ყოველმხრივ მზად არც „ზაგოტზერნოს“ კასპის მიმღები პუნქტია. აქ წელს ვარაუდობენ 5.000 ტონაზე მეტი მარცვლეულის მიღებას. ამისათვის საჭირო იყო სწრაფად დაემთავრებინათ ახალი საწყობის მშენებლობა. მაგრამ ეს სამუშაო ახლაც ჭიანურდება.

რაიონში უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ ნათესების დამუშავებისადმი.

1 ივნისისათვის რაიონში გათოხნილი იყო მხოლოდ 339 ჰექტარი სიმინდი ან მთელი ნათესი ფართობის 16,3 პროცენტი. დიდად ჩამორჩა შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერება. სერიოზულად ჩამორჩნენ სათოხნი კულტურების დამუშავებასა და ჯეჯილების მარგვლაში სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის, ყარაღაჯის სვერდლოვის სახელობის, ლამისყანის მახარაძის სახელობის, ნიგოზას ხრუშჩოვის სახელობის და კავთისხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები გაიძახიან, სარეველა ბალახებთან ბრძოლას ვერ აუვედით, რადგან მუშახელი არ გვყოფნისო. სინამდვილეში კი სულ სხვა მდგომარეობაა. ბევრ მათგანს არ შესწევს უნარი მოხერხებულად, მთლიანად გამოიყენოს შრომითი რესურსები. მაგალითად, სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე აგრონომი გ. ფარესაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ზ. გამდლიშვილი) შრომა მოუწესრიგებელია. მთელი რიგი შრომის უნაყოფო კოლმეურნეები საწარმოო ბრიგადებში არ არიან. შემოწმებით გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში საკოლმეურნეო შრომაში აქ მონაწილეობა არ მიუღია 259 კოლმეურნეს. არ წარმოებს არავითარი ახსნაგანმარტებითი მუშაობა, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ამას თვით კოლმეურნეობისა და კოლმეურნეებისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტორგანიზაციაურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს და საჭიროდ არ თვლიან მკაცრი ზომების მიღებას ზარმაცებისა და მუქთახორების წინააღმდეგ. შრომითი რესურსებისა და დისციპლინის განმტკიცების მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სხვა კოლმეურნეობებშია.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნათესების მორწყვა აშკარა ჩაშლის საფრთხეშია. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ქვემოჭალის სტალინის სახელობის, კოდისწყაროს კაგანოვიჩის სახელობის, ნობალაურის სტალინის სახელობის და ნიგოზას ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებს. აქ ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, მათ შორის შაქრის ჭარხალი, სიმინდი, ბოსტნეული, აგრეთვე ჯეჯილები, ბაღ-ვენახები მოურწყავი რჩება. ამაში ბრალი მიუძღვით გორის რაიონის წყალთა მეურნეობის საინჟინრო სისტემის მუშაკებს.

ნათესების დასარეცლიანების, სათოხნი კულტურების დამუშავების გაჭიანურების, სარწყავ სისტემაში ქაოსის შეუწყნარებელი ფაქტები ცნობილია რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, მაგრამ ისინი ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც ჩანს პარტიის კასპის რაიონულ კომიტეტს (მდივანი ამხ. ლ. ჯავახიშვილი) და რაისაბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. გ. ჯიქურაძე) თავიანთ უპირველეს მოვალეობად არ მიაჩნიათ დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ეს სერიოზული, სამარცხვინო ნაკლოვანებანი.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ბელინსკის თხზულებანი



საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა დიდი რევოლუციონერი-დემოკრატის და გენიალური ლიტერატურული კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის რჩეული თხზულებების პირველი ტომი ქართულ ენაზე. წიგნი იხსნება ბ. ბელინსკის პირველი ვრცელი და საფუძვლიანი ნაშრომით „ლიტერატურული ოცნებანი“, რომელიც 1834 წელს რამდენიმე წერილად დაიბეჭდა ჟურნალ „ტელესკოპის“ დამატება „მოლვაში“. ამ ნაშრომით XIX საუკუნის რუსული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ბრწყინვალე წარმომადგენელი მოგვევლინა როგორც აქტიური მებრძოლი ეშმაკრიტად ხალხური ლიტერატურის შექმნისათვის, ლიტერატურისა, რომელშიც ასახული იქნებოდა ხალხის ცხოვრება და მისი ინტერესები. ლიტერატურის ხალხურობის პრინციპი, რომელიც ნაშრომის „ლიტერატურული ოცნებანი“ წამყვან თეზისს წარმოადგენდა, ბ. ბელინსკიმ შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო განავითარა.

ტომში შესულია აგრეთვე სტატია „რუსულ მოთხრობასა და ბ-ნ გოგოლის მოთხრობებზე“, რომელშიც გოგოლი გამოცხადებულია ნამდვილი ცხოვრების პოეტად. ვრცელ წერილებში — „ჩვენი დროის გმირი“ და „ლერმონტოვის ლექსები“ განსაზღვრულია ლერმონტოვის, როგორც მწერლის, თავისებურებანი და მისი ადგილი რუსულ ლიტერატურაში. წიგნში გამოქვეყნებულია ბ. ბელინსკის წერილები: „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“, „ხელოვნების იდეა“, „ჩიჩიკოვის თავგადასავალი ანუ მკვდარი სულები“, „სიტყვა კრიტიკის შესახებ“, „ივანე ანდრიას-ძე კრილოვი“ და „აზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე“. ბელინსკის ნაშრომთა თარგმანი შესრულებულია ვ. მგალობლიშვილის, ი. ტატიშვილის, თ. ჭიქოძის, ი. წულუკიძის და შ. ასათიანის მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის გ. ჯობლაძის ვრცელი წინასიტყვაობა.

ახალი წიგნები

ს. მიხალკოვი. ლენინის მუზეუმში. თარგმნა რევაზ მარგიანმა. სალიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 8.000, გვ. 22, ფასი 3 მან.

ს. თავაძე. მაისის განთიადი. სახელგამი. 1953 წ., ტირაჟი 7.000, გვ. 525, ფასი 10 მან. 20 კაპ.

ზ. ბარათაშვილი. ნანული. საბლიტგამი. 1953 წ., ტირაჟი 7.000, გვ. 44, ფასი 1 მან. 20 კაპ.

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი. ფრანგულიდან თარგმნა გ. ქიქოძემ. გამოცემა მეხუთე. „საბჭოთა მწერალი“. 1953 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 256, ფასი 4 მან. 05 კაპ.

ვ. ჯინჭარაძე. მოთხრობები. საბლიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 5.000, გვ. 141, ფასი 3 მან. 40 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობიდან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეუწონლად ცნო, რომ შემდეგში ერთი პირი ასრულებდეს ავსტრიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრისა და საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის ფუნქციებს. ამასთან დაკავშირებით მთავარსარდალი განთავისუფლებულია უმაღლესი კომისრის ფუნქციების შესრულებისაგან. [illegible] საზღვრულია ავსტრიაში საბჭოთა ჯარების სარდლობით.

სსრ კავშირის უმაღლეს კომისრად ავსტრიაში დანიშნა ელჩი ი. ი. ილიჩოვი.

პრესის მიმოხილვა

უმნიშვნელოვანესი თემა

მთავრდება სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ქალაქად. პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან იმისათვის, რომ შეაჯამონ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი მომენტის მომზადებულად შეხვედრისათვის სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ საქალაქო გაზეთებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გააშუქებენ ისინი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად, როგორ იბრძოლებენ არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოსაფხვრელად.

საქალაქო გაზეთების უპირველესი ამოცანაა თავიანთ ფურცლებზე ფართოდ და ოპერატიულად გააშუქონ პარტიული განათლების სისტემაში შემაჯამებელი მეცადინეობისათვის მზადების საკითხები, ამხილონ ნაკლოვანებანი და იბრძოლონ მათი გამოსწორებისათვის. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ტყვარჩელის საქალაქო გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“.

გაზეთმა 17 მაისის ნომერში დაბეჭდა მოწინავე წერილი სათაურით „წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში“. წერილში მწვავედ არის გაკრიტიკებული ის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად ხელმძღვანელობენ კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმეს. ამხილებს რა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, გაზეთი ამასთან მიუთითებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე.

ასეთივე საქმიანი მოწინავე წერილი მიუძღვნა გაზეთმა კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადებას.

გაზეთი ხშირად ბეჭდავს მასალებს რუბრიკით „პარტიული ცხოვრება“. ამ მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია პარტიული განათლების სისტემაში შემაჯამებელი მეცადინეობის მომზადებისადმი. გაზეთის ფურცლებზე ხშირად ნახავთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების, კონსულტანტების წერილებს სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების შესახებ. ისინი მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის მზადების ფართოდ გაშუქებით გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ კარგ საქმეს აკეთებს.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთში ხშირად გვხვდება სტილისტურად გაუმართავი, ცუდად რედაქტირებული წერილები. არის ქართული ენის ნორმების დარღვევის ფაქტებიც. საჭიროა რედაქციის მუშაკებმა შემდგომში მკვეთრად გაუმჯობესონ მუშაობა ამ მხრივაც.

ქალაქად პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხებზე მასალების ბეჭდვა შედარებით უფრო გვიან დაიწყო რუსთავის საქალაქო გაზეთმა „მეტალურგიისათვის“. მან მხოლოდ 27 მაისის ნომერში დაბეჭდა პროპაგანდისტის ერთი წერილი, მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტწრის მუშაობის შესახებ. 29 მაისის ნომერში გაზეთმა ამ საკითხზე დაბეჭდა მოწინავე წერილი, სადაც ყურადღება გამახვილებულია ქალაქის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებზე, გაკრიტიკებულია ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ უშლის ხელს პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას.

გაზეთის 3 მაისის ნომერში დაბეჭდილია რუსთავის საქალაქო პარტიული აქტივის კრების ანგარიში. აქტივის კრებაზე გამოირკვა, რომ პარტიული განათლების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც ხელს უშლის სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას. გაზეთი „მეტალურგიისათვის“ კი თავის ფურცლებზე ნაკლებად ამხილებს და აკრიტიკებს ამ ნაკლოვანებებს. და ეს მაშინ, როცა აქტივის კრებაზე ითქვა, რომ გაზეთი სუსტად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, მასში იშვიათად ვხვდებით კონსულტაციებს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად; ცოტა იბეჭდება პროპაგანდისტთა წერილები მათი გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

რედაქციის მუშაკების ვალია ფართოდ გაუშუქონ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, იბრძოლონ პარტიულ სწავლებაში ფორმალიზმისა და სკოლარულობის აღმოფხვრისათვის, სწავლების მაღალი იდეური დონისათვის.

ეს გაზეთების უმნიშვნელოვანესი თემაა.

გენიალური კრიტიკოსი

ბელინსკის გარდაცვალების 105 წლისთავის გამო

გადაშლით თუ არა რუსული კრიტიკული აზროვნების დიდ წიგნს, თქვენს წინაშე აღიმართება ბესარიონ ბელინსკის მონუმენტური ფიგურა, რომელიც ისევე ამშვენებს მთელი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას, როგორც პუშკინის უკვდავი სახელი.

ბელინსკისა და პუშკინის გენიის წყალობით რუსულმა ლიტერატურამ ლომონოსოვისა და დერჟავინის შემდეგ არნახულ სიმაღლეს მიაღწია; პირველი შეიქნა ფუძემდებელი რუსული მეცნიერული კრიტიკისა, ხოლო მეორე — უბრწყინვალესი რუსული პოეზიისა.

ერთმანეთისაგან განუყრელია დიდი რუსი ხალხის გენიალური შვილების — ბელინსკისა და პუშკინის სახელები; შეუძლებელია განიხილო ბელინსკის ლიტერატურული მოღვაწეობა პუშკინის მოუხსენებლად, ისევე როგორც ძნელია წარმოთქვა პუშკინის სახელი და არაფერი თქვა ბელინსკის შესახებ.

მართლ ეს კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რას წარმოადგენს ბელინსკი, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი და რა დამსახურება მიუძღვის მას მშობლიური ლიტერატურის წინაშე. სწორედ დიდი დამსახურების გამო ბელინსკიმ ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოიპოვა პროგრესული ადამიანების საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, მიუხედავად საშინელი რეაქციული ეპოქისა, რომელშიც მოუხდა ცხოვრება ამ სახელოვან მწერალს, რევოლუციონერ დემოკრატსა და მებრძოლ მოაზროვნეს. ეს სიყვარული გამოხატეს 60-იან წლებში რაზნოჩინელებმა, რომლებმაც გენიალურ კრიტიკოსს თავიანთი წინამორბედი და მასწავლებელი უწოდეს.

ბელინსკი მართლაც იყო რუსული რაზნოჩინელი ინტელიგენციის წინამორბედი, მასწავლებელი და შთამაგონებელი, ნიჰილისტების გამოუკლებლად.

მძიმე, აუტანელ პირობებში განვლო დიდი პატრიოტის — ბელინსკის ცხოვრებამ. შემთხვევითი როდი იყო, 1838 წელს თავის მეგობარს ბელინსკი რომ სწერდა: საზოგადოების სიკეთისათვის „...მე კონკებში დავდივარ, გაჭირვებას ვითმენო“. მატერიალურ გაჭირვებაში ჩავარდნილი ბელინსკი ორი წლის შემდეგაც თავის მდგომარეობას უჩიოდა. მაგრამ გულზე ხელს კი არ იკრეფდა, მოქმედებდა და სხვასაც მოქმედებისაკენ მოუწოდებდა. „...რა უნდა ვქნათ, როდესაც ამ საშინელ სინამდვილეს ვხედავთ?, — სწერდა ბელინსკი თავის მეგობარს ბოტკინს, — გულხელდაკრეფილნი კი არ უნდა დავტკბეთ მისი ცქერით, არამედ უნდა ვიმოქმედოთ შეძლებისამებრ, რომ შემდეგ სხვებს შეეძლოთ უკეთესად ცხოვრება“. ბელინსკი პირად ბედნიერებას კი არ ეძებდა, არამედ თავგანწირულად იდგა იმ ინტერესების სადარაჯოზე, რომლებიც მას თავისი ხალხისა და შეგნებული კაცობრიობის ინტერესებად მიაჩნდა. „მე არ მინდა ბედნიერება, — წერდა ბელინსკი, — თუნდაც მუქთად, თუ დამშვიდებული არ ვიქნები ჩემი თვითეული ღვიძლი მოძმის შესახებ, — ჩემი სისხლი სისხლთაგანისა და ხორცი ხორცთაგანის შესახებ“.

მაგრამ თვით ბელინსკისათვის არაავინ ზრუნავდა, გარდა რამდენიმე კეთილი და ერთგული მეგობრისა, იმ დროს, როცა სასწრაფო საეურნალო მუშაობა ისე სწოვდა დიდ კრიტიკოსს „სასიცოცხლო ძალებს, როგორც წურბელა სისხლს“.

თავისი პირდაპირი, პრინციპული, მართალი დამოკიდებულებით, მაღალი ადამიანური თვისებებით ბელინსკიმ მეგობართა წრეში არაჩვეულებრივი სიყვარული დაიმსახურა. მეგობრებს რომ ხელი არ შეეწყოთ, ბელინსკი დიდი ხნით ადრე გარდაიცვლებოდა შიმშილისა და გაჭირვებული მდგომარეობისაგან. შემთხვევით კი არ ამბობდა დიდი კრიტიკოსი, რომ მისი ყოფა აუტანელი იყო; დღეღამეს ასწორებდა შრომაში, წარმოუდგენლად ჩქარა და ბევრს წერდა; ასე რომ არ მოქცეულიყო. ლიტერატურით თავს ვერ იჩენდა. ბელინსკი მართალს ამბობდა, როცა აღნიშნავდა, რომ მას მოფიქრების დროც კი არ ჰქონდა...

ბელინსკი ის დიდი მოაზროვნე იყო, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში ღრმად შეიგნო იდეალიზმის შინაგანი სიყალბე და მას ბრძოლა გამოუცხადა. ამას მოწმობს დიდი კრიტიკოსის მიერ მოცემული ჰეგელისა და კანტის კრიტიკა. 1844 წელს ბელინსკი გასცნობია კარლ მარქსის წერილებს „ებრაელთა საკითხისათვის“ და „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, რომლებსაც მასზე დიდი გავლენა მოუხდენია. ბელინსკი ამ დროს მატერიალიზმის პოზიციაზე იდგა და მკაცრად აკრიტიკებდა იდეალიზმს, კერძოდ აბსტრაქტულ ტრანსცენდენტალიზმს, თვლიდა რა მას ცალმხრივ მოძღვრებად.

ბელინსკი ასევე მკაცრად აკრიტიკებდა ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიას, წყევლიდა რა საძაგელ სინამდვილესთან შერიგების საძაგელ ფილოსოფიას, ამავე დროს ჰეგელის დიალექტიკას ისე როდი ექცეოდა, როგორც ფეიერბახი მოექცა.

ბელინსკის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს რუსული ლიტერატურის ისტორიული და თეორიული პრობლემების სავსებით ახლებური, სავსებით ორიგინალური გადაწყვეტა.

ჯერ კიდევ თავის პირველ წერილში — „ლიტერატურული ოცნებანი“ ბელინსკიმ შესანიშნავად ცხადყო, რომ პუშკინი შეიქნა „თავისი დროის სრულყოფილი გამოხატულება“, „იგი გამოეხმაურა ყველა დიდ თანამედროვე ამბავს, მოვლენასა და აზრს, ყველაფერს, რაც კი მაშინ შეეძლო ეგრძნო რუსეთს“. ახალგაზრდა ბელინსკიმ კატეგორიულად გაილაშქრა ძალიან დიდხანს გავრცელებული მცდარი შეხედულების წინააღმდეგ, რომ თითქოს პუშკინი (თუნდაც თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში) ბაძავდა ბაირონს. ბელინსკი უარყოფდა ამ აზრს, და უარყოფდა სავსებით სამართლიანად; ეს უარყოფა მით უფრო დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი გამოთქმულ იქნა თვით პუშკინის სიცოცხლეში, გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომელიც ლიტერატურის მომდევნო პერიოდის ისტორიკოსებმა და კრიტიკოსებმა, იშვიათი ერთიანობის გამოკლებით, ვერ გაიგეს და დაჟინებით იმეორებდნენ მცდარ შეხედულებას პუშკინისა და ბაირონის შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ახალგაზრდა ბელინსკიმ კი ამას შესანიშნავად აუღო ალღო. მართლ ის რად ღირდა, რომ ბელინსკიმ გაილაშქრა იმ ყოვლად მიუღებელი აზრის წინააღმდეგ, რომელიც საქვეყნოდ ამტკიცებდა, თითქოს პუშკინის ნიჭი ჩაქრა, იგი ამოიწურა, და რომ თითქოს ამას ყველაზე უკეთესად მოწმობს „ევგენი ონეგინი“. მხედველობაში გვაქვს რეაქციონერ ბულგარინის მიერ მოცემული „კრიტიკა“ „ევგენი ონეგინის“ მე-7 თავისა.

ბელინსკიმ სამართლიანად გაილაშქრა ბულგარინისა და მისი დამცველის გრეჩის წინააღმდეგ და სრული რწმენით აღნიშნა: „მე მწამს და ვფიქრობ და ჩემთვის სასიამოვნოა მწამდეს და ვფიქრობდე, რომ პუშკინი დაგვასაჩუქრებს ახალი ქმნილებებით, რომლებიც წინანდელზე უკეთესნი იქნებიან“.

ასევე მაღალი შეფასება მისცა ბელინსკიმ ლიტერატურულ ასპარეზზე ახლადგამოსულ ლერმონტოვს, რომლის შესახებ დიდი კრიტიკოსი 1840 წლის 13 ივნისს ბოტკინს სწერდა: „ლერმონტოვი დიდი პოეტია: მან გააობიექტიურა თანამედროვე საზოგადოება და მისი წარმომადგენლები. ამან ჩემში აღძრა აზრი, თუ რა განსხვავებაა პუშკინსა და გოგოლს შორის, როგორც ნაციონალურ პოეტებს შორის. გოგოლი დიდია როგორც ვალტერ სკოტი, კუპერი; შესაძლოა მისმა შემდგომმა ქმნილებებმა დაამტკიცონ, რომ იგი მათზე უფრო მაღლაც კი დგას. მაგრამ მხოლოდ პუშკინია ჩვენი ისეთი პოეტი, რომლის ჭრილობებში შეგვიძლია ჩავდოთ თითები, რათა ჩვენი ჭრილობების ტკივილი ვიგრძნოთ და მათ ვუმკურნალოთ. ლერმონტოვიც ამის იმედს იძლევა“.

ეს იმედი ლერმონტოვის შემოქმედებამ მთლიანად გაამართლა, ისევე როგორც სწორი აღმოჩნდა პუშკინის როლის ბელინსკისეული დახასიათება.

ლერმონტოვი თავისი შემოქმედებით ერთბაშად ამოუდგა გვერდში მხატვრული სიტყვის უკვე ცნობილ გოლიათებს. მაგრამ ლერმონტოვი ამ კოლოსალურ ფიგურათა შორის ალიმართა არა როგორც მათი სახეობრივი მსგავსება, არამედ როგორც სრულიად თავისებური, დამოუკიდებელი, ორიგინალური მოვლენა. ბოტკინისათვის გაგზავნილ წერილში კი, რომელიც ორდონანს-ჰაუზში ლერმონტოვის ნახვის შემდეგ არის დაწერილი, აღფრთოვანებული ბელინსკი წერდა: „ჩვენ ჯერ კიდევ არ ვუწოდებთ მას არც ბაირონს, არც გოეთეს, არც პუშკინს, და არ ვიტყვით, რომ მისგან თავის დროზე გამოვა ბაირონი, გოეთე ან პუშკინი: ვინაიდან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისგან არ გამოვა არც პირველი, არც მეორე და არც მესამე, არამედ გამოვა — ლერმონტოვი“...

ეს იყო ლერმონტოვის ორიგინალობის, მისი დამოუკიდებელი პოეტური სახისათვის ხაზგასმა. ბელინსკი არც შემცდარა: ლერმონტოვის სახით, პუშკინის შემდეგ, რუსულმა ლიტერატურამ მიიღო კოლოსალური პოეტური ფიგურა.

ბელინსკიმ ასევე ღრმად განიხილა გოგოლის, კრილოვისა და მთელი რიგი სხვა რუსი მწერლების შემოქმედება, ლომონოსოვიდან გერცენამდე. მან აგრეთვე დაწერა თეორიული წერილები ესთეტიკისა და კრიტიკის საკითხებზე. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბელინსკის ყოველწლიურ მიმოხილვებს, რომლებშიც დიდი კრიტიკოსი იძლეოდა რუსული ლიტერატურის ღრმა განზოგადებას. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ 1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ავადმყოფმა, სიკვდილის პირას მისულმა დიდმა კრიტიკოსმა დაწერა. ეს ის წერილია, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველი თერგდალეულების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვ. თეორიულ აზროვნებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი მკითხველი ბელინსკისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა შორის პოულობს დიდ მსგავსებას ხელოვნების თეორიის ძირითად საკითხებზე. სწორედ ბელინსკი წერდა, რომ ხელოვნება არ არსებობს ხელოვნებისათვის, ისევე როგორც სილამაზე სილამაზისათვის. ჩვენი დრო, ამტკიცებდა ბელინსკი, უარყოფს ხელოვნებისა და სილამაზის ასეთ გაგებას. ხელოვნება წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების, მისი საიდუმლოების გამოხატულებას.

თანამედროვეობას ასევე გამოხატავდა გოგოლი, რომელსაც ბელინსკი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა, როგორც „ნამდვილი ცხოვრების პოეტს“, ჭეშმარიტ რა იგი პროგრესულ მწერლად, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის ჰამბალებად. მაგრამ როგორც კი გოგოლმა გამოსცა თავისი „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“, რომელიც არსებითად საკუთარი შემოქმედების იდეურ ბრწყინვალეს უარის თქმას ნიშნავდა, ბელინსკიმ სასტიკად დაგმო გოგოლის საქციელი, გამოაშკარავა მისი საშინელი შეცდომა. 1847 წლის ივლისში ხალცბრუნერიდან, სადაც სამკურნალოდ იყო წასული, ბელინსკიმ გოგოლს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც არაჩვეულებრივი ძალით არის ნაჩვენები ერთი მხრივ, გოგოლის იდეური კრახი, მეორე მხრივ თვით ბელინსკის ლიტერატურულ შეხედულებათა უაღრესად პროგრესული ხასიათი. შემთხვევითი არ იყო, რომ ბელინსკის „წერილს გოგოლისადმი“, რომელიც დიდმა კრიტიკოსმა თვითონვე წაუკითხა პარიზში ვერცენს, ამ უკანასკნელმა უწოდა გენიალური ნაწარმოები, გენიალური კრიტიკოსის ანდერძი!

ბელინსკის წერილს გოგოლისადმი უაღრესად მაღალი შეფასება მისცა დიდმა ლენინმა, უწოდა რა მას არაცენზურული დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი... რომელთაც დღემდე ცოცხალი მნიშ

„ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“

გრიბოედოვის სახელობის თეატრის დადგმა

კ. მიუფკეს პიესას „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ საფუძვლად დაედო სამხრეთ აფრიკელი მწერლის პიტერ აბრაჰამსის რომანი „ქუხილის გზით“. რომანში აღწერილია დღევანდელი სამხრეთ აფრიკის კავშირის ერთ პატარა დაბა — სტილეველდი. ერთი კუთხის ჩვენებით, რამდენიმე ეპიზოდის გადმოცემით ავტორი ადგილობრივი ფერადკანიანი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის დამაჯერებელ სურათს იძლევა. უმიწაწყლობა, შიმშილი, ქოხმახებში ცხოვრება — აი მათი მწარე ხვედრი. ექსპლოატირებული, უზომო შრომისაკენ ქანცგამოლეული ხალხი სულს ღაფავს. სიბნელეს და უმეცრებას დაუსდგურებია ყველგან. სოფლის მოძღვარმაც (მქადაგებელმა) კი არ იცის წერა-კითხვა. როცა მოსახლეობა განზრახავს ცოდნით შეიარაღდეს და სკოლას ვახსნის, ამას წინაღუდგება მათიკე დაბის მსხვილი მემამულე და მრეწველი, „ცივილიზებული“ თეორკანიანი კოლონიზატორი. გაჩაღდა ბრძოლა. ფერადკანიანების საუკეთესო წარმომადგენელი ლენი სვარცი ეროვნული ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდება.

„არ კმარა მუხლმოდრეკა, მქადაგებელო, და ღმერთისადმი ვედრება. გესმის, რას გეუბნებიან თოფები? უნდა ვიმოქმედოთ. აი სად არის გზა“. რომანის ერთ-ერთი გმირის, შავკანიანი მასწავლებლის მაკოს ეს საბრძოლო მოწოდება ავტორის აზრების გამომხატველია, ყველა ჩაგრულთა მისწრაფებების მაჩვენებელია.

რომანი ეროვნული ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის მძაფრი მამხილებელია. ამაშია მისი ზემოქმედებითი და შემეცნებითი ძალა, ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რაც გამოიწვია კ. მიუფკეს პიესამ „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“.

დრამატურგი რომანის ინსცენირებას არ შესდგომია, აუღია მხოლოდ მისი ჩონჩხი და ორიგინალური პიესა შეუქმნია. ეს უდავოდ მისასალმებელია, ვინაიდან ინსცენირება უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდება და ორიგინალის უფერული ასლი გამოდის. თემატიკა, კონფლიქტის მძაფრი განვითარება, პუბლიცისტური სიმკვეთრე, რეალური სახეები ხელს უწყობს პიესის წარმატებას. პიესის აღნაგობაში იგრძნობა ავტორის გამოცდილება და სცენის კანონების ცოდნა. ამ დრამის ხარვეზია ზოგიერთი სცენის გადატვირთვა ბოლო მოქმედებაში. პიესის ერთ-ერთ გმირს მაკოს, რომელიც აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებს თავის თანამემამულეებს, დრამატურგი უფრო მეტს ალაპარაკებს, ვიდრე ამოქმედებს. დრამატულ ნაწარმოებში კი მთავარია მოქმედება და არა რიტორიკა. ამიტომაც ეს სახე სქემატურია.

ოსტატურად არის გაკეთებული მერვე სურათის დასასრული, რომლის შემდეგაც ტემპი ალაგ-ალაგ ნელდება. უდავოდ მოსაწონია პიესის ფინალი. რომანში ლენი სვარცი (ვილიამსი) იღუპება. კ. მიუფკეს დრამის მიხედვით კი ვილიამსი განაგრძობს ბრძოლას, და ამიტომაც პიესა ოპტიმისტურად ღღერს.

სპექტაკლის ძირითადი იდეის გამოვლენა და წინა პლანზე წამოწევა, მისი რიტმი, დინამიკურობა, პერსონაჟთა სწორად გაგება სათანადო განწყობილებას ქმნის და ააშკარავებს მისი დამდგმელის, გრიბოედოვის თეატრის მთავარი რეჟისორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალ. თაყაიშვილის მაღალ პროფესიულ ოსტატობას.

ყურადღებას იქცევს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ ირ. შტენბერგის გაფორმება. მხატვარი კარგად გადმოგვცემს სამხრეთ აფრიკის პატარა გაღატაკებული დაბის სურათს.

სათანადო განწყობილებას ქმნის კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის მელოდიური მუსიკა.

მულატ ვილიამს სვარცის როლს ასრულებს მსახიობი ი. რუსინოვი. ვილიამსს უყვარს თავისი მომძენი, მშობლიური კუთხე. ის მზად არის ხალხის კეთილდღეობას შესწიროს თავისი სიცოცხლე, მაგრამ ბრძოლის გზა თავიდანვე არა აქვს მკვეთრად დასახული. მაკოს მეიზებით მისთვის აშკარა ხდება, როგორ უნდა წარმართოს თავისი ბრძოლა, მსახიობს კარგად აქვს გააზრებული და დამუშავებული ეს როლი და ნათელი შტრიხებით ძერწავს თავისი გმირის სახეს. ვილიამსის სცენები დედასთან და სარი ვილერთან ლირიზმით არის აღსავსე, სამაგიეროდ ჰერტ ვილერთან შეჯახებისას იგრძნობა მტკიცე ნებისყოფის ადამიანი.

მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგმა მაკოს სახე მკვეთრად ვერ მოგვცა, მსახიობი ნ. ქავორონკოვი ისეთი განწყობილებით განასახიერებს ამ როლს, რომ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მქადაგებელ ვალტერ კოტონის როლს, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ვიაზემსკი ასრულებს, მეტი სიმკვეთრე და სიმძლავრე სჭირდება.

პიესის ავტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. მიუფკე მეტად საინტერესოდ წარმოგვისახავს სემის როლს.

მსხვილი მემამულის და მრეწველის ჰერტ ვილერის როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. სმირანინი. ცნობილია ამ მსახიობის დიდი კულტურა, არტისტული უნარი და სცენის ტექნიკის ცოდნა. ჰერტ ვილერის როლი მსახიობს კარგად აქვს გააზრებული, მაგრამ იგი მაინც მთლიანად დაძლეული ვერ არის. სახეს და გრძნობებს „თამაში“ კი არ სჭირდება, არამედ შეგრძნება, სიმართლით წარმოსახვა. ეს სიმართლე არ იგრძნობა მსახიობის თამაშში, თუმცა როლი მის არტისტულ ბუნებას სავსებით შეეფერება და, იოლი გზით რომ არ წასულიყო, უდავოდ დასამახსოვრებელ სახეს შექმნიდა.

დიდი ტაქტით, ზომიერებით და სიმართლით წარმოგვისახავს სარი ვილერის როლს მსახიობი ნ. ბურმისტროვა. მსახიობი იშვიათი ოსტატობით ქარგავს იმ გარდატეხას, რაც მასში ხდება, და დიდი გრძნობით გადმოგვცემს ადამიანის ბუნებაზე სიყვარულის ზემოქმედების ძალას.

სპექტაკლი „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ თავისი მეზანდასახულობით და განსახიერებით საპატიო ადგილს დაიჭერს გრიბოედოვის სახელობის თეატრის რეპერტუარში.

ა. ბურთიკაშვილი.

ᲐᲠᲐᲛ ᲮᲐᲩᲐᲒᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის, რსფსრ სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ი. ხაჩატურიანის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი 8 ივნისს მოსკოვში მართავს საზეიმო საიუბილეო საღამოს.

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირისაგან იუბილეში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, სტალინური პრემიის ლაურეატები კომპოზიტორები შ. მშველიძე და შ. აზმაიფარაშვილი.

ᲮᲔᲠᲘᲚᲘᲠᲘᲚᲘ

საქართველოს ბევრ რაიონში მრავლად არის ველურად მზარდი მცენარე, ეგრეთწოდებული ხეპილპილა. ამ მცენარის ასამდე სახეობას შორის აღმოჩენილია ისეთი ჯიშები რომელთა ნაყოფი შეიცავს ეთერზეთს და ვიტამინ „C“-ს, ხასიათდება პილპილის ხურნელებით.

ხეპილპილა 1-4 მეტრი სიმაღლის ბუჩქს ან ხეს წარმოადგენს, ფვრილი ისფერი ცოცხსებრი ყვავილები და მოშავო-მოყავისფრო ნაყოფი აქვს. ჩვენში იგი უმთავრესად კახეთის რაიონებში და შავი ზღვის სანაპიროზე იზრდება. ადვილად უძლებს 20-23 გრადუს ყინვას.

სპეციალისტების დასკვნით, ხეპილპილას ნაყოფი სავსებით ცვლის სურნელოვან პილპილს, რომელიც ფართოდ იხმარება კვების მრეწველობაში და რომელიც ჩვენს ქვეყანაში არ იზრდება.

ამ ბოლო ხანებში ჩვენში ხეპილპილას გაშენებას დიდი ყურადღება ექცევა. 1952 წელს ეს კულტურა პირველად 4 ჰექტარზე გაშენეს გალისა და ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებში. წელს 3 ჰექტარი ხეპილპილა გაშენდება ყვარლის რაიონში, ხოლო მომავალ წელს კახეთის რაიონებში ამ კულტურის ფართობი 100 ჰექტარს მიაღწევს.

ხეპილპილას გაშენება მეტად ადვილია, მას ქვიშნარი ადგილები უყვარს, მოვლა დიდ შრომას არ მოითხოვს. მისი გაშენება შეიძლება როგორც დაკალმებით, ისე თესლით. ნაყოფს მეორე წელს იძლევა.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიის კათედრის ლაბორატორია აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ხეპილპილას ნაყოფის გამოკვლევას. დღემდე შესწავლილია 15 სახე. გამოვლინებულია ძვირფასი ჯიშები.

გამორკვეულია, რომ თავისი არომატითა და საგემოვნო თვისებებით უკეთესია ის ჯიშები, რომლებიც იზრდება აღმოსავლეთ საქართველოში.

სურათზე: თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგი ა. თოიძე დაკვირვებას ახდენს ხეპილპილაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲐ

ᲢᲠᲣᲛᲔᲜᲘᲡ „ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ“ ᲐᲜ „ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲝᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ“

ომისშემდგომი ეკონომიური კრიზისის თავიდან აცილების, ომისდროინდელ მაქსიმალურ მოგებათა შენარჩუნების, ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს. შემუშავებულ იქნა უბადაღებული „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“, ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკი და სხვ. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი საქონელი გაიტანონ და ნაკლები შეიტანონ. მათ შეაქვთ დიდძალი ნედლეული: ბუნებრივი კაუჩუკი, ნავთობი, მარგანეცი და სხვ., ხოლო გააქვთ სამრეწველო საქონელი. 1946-49 წლებში ამერიკის ექსპორტი შეადგენდა 49 მილიარდ დოლარს, იმპორტი კი — 24 მილიარდ დოლარს.

1949 წლის იანვარში, პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის შემდეგ, ტრუმენმა კონგრესში წარმოთქვა ე. წ. „პროგრამო სიტყვა. ამ „ახალი“ მთავრობის პროგრამის მეოთხე პუნქტი ითვალისწინებდა „ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტექნიკური დახმარების აღმოჩენას“.

ამერიკის მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო დეპარტამენტთან შეიქმნა „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პუნქტის განხორციელების განყოფილება“, რომლის სათავეში დაყენებულ იქნა მილიონერი მ. ჰარდინერი.

ჰარდინერის განყოფილებამ შეიმუშავა „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პუნქტის მიხედვით ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ შეთანხმების სტანდარტული ტექსტი“.

ვაშინგტონში შედგენილი ეს სტანდარტული შეთანხმება სულ ექვსი მუხლისაგან შედგება და გულისხმობს შემდეგს: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იღებს ვალდებულებას: 1. გაგზავნოს „ექსპერტები“ და „მრჩევლები“ ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენ ქვეყანაში ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენების მიზნით; 2. ამ ქვეყნიდან „კვალიფიკაციის ამაღლების“ მიზნით შეუძლიათ ცალკეულ პირებს გაემგზავრონ ამერიკაში; 3. მიაწოდოს თავის „ექსპერტებს“ და „მრჩევლებს“ საჭირო მოწყობილობა იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც ისინი ეწევიან იმ ქვეყანაში.

თავის მხრივ ტრუმენის პროგრამის „მეოთხე პუნქტის“ მიმღები ქვეყანა კისრულობს: 1. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამერიკელ „ექსპერტებს“ და „მრჩევლებს“ იმ მუშაობაში, რომელსაც ისინი ამ ქვეყანაში ეწევიან, შეუქმნას მათ საუკეთესო პირობები: უფასო ბინა, ტრანსპორტი, მომსახურებისათვის დაუნიშნოს დამხმარე პერსონალი; 2. თავისი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ათვისების საქმეში ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან; 3. ამერიკელი „მრჩევლები“ და „ექსპერტები“ თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადებისაგან.

„მეოთხე პუნქტს“, ისევე როგორც მარშალის გეგმას, საერთო არა აქვს რა ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი ნამდვილ დახმარებასთან. იგი მარშალის გეგმის გაგრძელებაა. თუ მარშალის გეგმა მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ დამონებას, „მეოთხე პუნქტი“ ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებას ამ ქვეყნების სამფლობელოებში.

„მეოთხე პუნქტი“ — ეს არის კოლონიური სამყაროს ხელახლა დაყოფის პროგრამა, ამერიკის კოლონიური იმპერიის შექმნის პროგრამა, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვისა და ექსპლოატაციის ხარჯზე კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა.

ამერიკის მისწრაფება — ხელში ჩაიგდოს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები, დიდ წინააღმდეგობას აწყდება კოლონიების ძველი მფლობელი ქვეყნების მხრივ (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ.), რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი სამფლობელოები. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავდება ბრძოლა ინგლისსა და ამერიკას შორის.

1950 წლის იანვარში ქ. კოლომბოში (ცეილონი) ინგლისის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბრიტანეთის იმპერიის წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციის მსჯელობის მთავარი საკითხი იყო ბრძოლა ბრიტანეთის სამფლობელოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამ სამფლობელოებში ამერიკის კაპიტალის შეჭრის წინააღმდეგ. კოლომბოს კონფერენციამ შეიმუშავა ე. წ. „სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარების საქმეში თანამშრომლობის გეგმა“, რომელიც ცნობილია „კოლომბოს გეგმის“ სახელწოდებით. „კოლომბოს გეგმა“ — ეს არის „მეოთხე პუნქტის“ წინაღმდეგ შემუშავებული გეგმა. „კოლომბოს გეგმა“ მიზნად ისახავს აზიაში ინგლისის სამფლობელოების დაცვას ამერიკის კაპიტალის შეჭრისაგან.

კოლონიების ძველი მფლობელი ქვეყნების მმართველი წრეების ღონისძიებათა მიუხედავად, ამერიკის კაპიტალი სწრაფად იჭრება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამერიკა ხელთ იგდებს ამ ქვეყნების ექსპორტს და იმპორტს. თუ მეორე მსოფლიო ომის წინ ბრიტანეთის იმპერიის სამფლობელოებში ინგლისის კაპიტალდაბანდება შეადგენდა 11,6 მილიარდ დოლარს, ამერიკის შეერთებული შტატებისა — 4,2 მილიარდს, ამჟამად ეს მდგომარეობა შეიცვალა ამერიკის სასარგებლოდ.

1950 წლის დეკემბერში ამერიკასა და ინდოეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „ტექნიკური დახმარების“ შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით შრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან; 3. ამერიკელი „მრჩევლები“ და „ექსპერტები“ თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადებისაგან.

„მეოთხე პუნქტს“, ისევე როგორც მარშალის გეგმას, საერთო არა აქვს რა ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი ნამდვილ დახმარებასთან. იგი მარშალის გეგმის გაგრძელებაა. თუ მარშალის გეგმა მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ დამონებას, „მეოთხე პუნქტი“ ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებას ამ ქვეყნების სამფლობელოებში.

„მეოთხე პუნქტი“ — ეს არის კოლონიური სამყაროს ხელახლა დაყოფის პროგრამა, ამერიკის კოლონიური იმპერიის შექმნის პროგრამა, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვისა და ექსპლოატაციის ხარჯზე კრიზისიდან გამოსვლის პროგრამა.

ამერიკის მისწრაფება — ხელში ჩაიგდოს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები, დიდ წინააღმდეგობას აწყდება კოლონიების ძველი მფლობელი ქვეყნების მხრივ (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ.), რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი სამფლობელოები. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავდება ბრძოლა ინგლისსა და ამერიკას შორის.

1950 წლის იანვარში ქ. კოლომბოში (ცეილონი) ინგლისის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბრიტანეთის იმპერიის წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციის მსჯელობის მთავარი საკითხი იყო ბრძოლა ბრიტანეთის სამფლობელოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამ სამფლობელოებში ამერიკის კაპიტალის შეჭრის წინააღმდეგ. კოლომბოს კონფერენციამ შეიმუშავა ე. წ. „სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარების საქმეში თანამშრომლობის გეგმა“, რომელიც ცნობილია „კოლომბოს გეგმის“ სახელწოდებით. „კოლომბოს გეგმა“ — ეს არის „მეოთხე პუნქტის“ წინააღმდეგ შემუშავებული გეგმა. „კოლომბოს გეგმა“ მიზნად ისახავს აზიაში ინგლისის სამფლობელოების დაცვას ამერიკის კაპიტალის შეჭრისაგან.

კოლონიების ძველი მფლობელი ქვეყნების მმართველი წრეების ღონისძიებათა მიუხედავად, ამერიკის კაპიტალი სწრაფად იჭრება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამერიკა ხელთ იგდებს ამ ქვეყნების ექსპორტს და იმპორტს. თუ მეორე მსოფლიო ომის წინ ბრიტანეთის იმპერიის სამფლობელოებში ინგლისის კაპიტალდაბანდება შეადგენდა 11,6 მილიარდ დოლარს, ამერიკის შეერთებული შტატებისა — 4,2 მილიარდს, ამჟამად ეს მდგომარეობა შეიცვალა ამერიკის სასარგებლოდ.

1950 წლის დეკემბერში ამერიკასა და ინდოეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „ტექნიკური დახმარების“ შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით „მეოთხე პუნქტი“ ინდოეთზეც გავრცელდა. ასეთივე შინაარსის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ამერიკასა და პაკისტანს შორის 1951 წლის თებერვალში.

სამხედრო-სტრატეგიული მიზნით ამერიკა იჭრება ნეპალში. 1950 წლის ნოემბერში ნეპალში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მიზანი იყო ნეპალში ინგლისის გავლენის ლიკვიდაცია და ამერიკის გავლენის განმტკიცება. ინგლის-ამერიკის ბრძოლა ნეპალში პირველობისათვის დამთავრდა 1951 წლის იანვარში ნეპალზე „მეოთხე პუნქტის“ გავრცელებით.

1951 წლის 13 იანვარს საუდის არაბეთმა ხელი მოაწერა ამერიკასთან შეთანხმებას „მეოთხე პუნქტის“ საფუძველზე „ტექნიკური დახმარების“ მიღების შესახებ. ამერიკამ საუდის არაბეთის საშუალებით არაბეთის ქვეყნების ლიგის პოლიტიკურ კომიტეტში დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ამ ლიგის ყველა წევრს მიეღო ამერიკის „დახმარება“ „მეოთხე პუნქტის“ საფუძველზე. იმავე წლის თებერვალში ერაყში ჩავიდა ამერიკის სპეციალური მისია, რათა „ადგილობრივ შეესწავლა“ მდგომარეობა. იმავე წლის თებერვალში ამერიკელებმა სტანდარტული შეთანხმება თავს მოახვიეს ტრანსიორდანიას. ლიბანთან ხელმოწერილი „შეთანხმებით“ ამერიკამ უფლება მიიღო „შეისწავლოს“ ლიბანის ბუნებრივი რესურსები. 1951 წლის 5 მაისს „მეოთხე პუნქტი“ გავრცელდა ეგვიპტეზე, თურქეთზე, ისრაელზე და ა. შ.

როგორც „მეოთხე პუნქტი“, ისე „კოლომბოს გეგმა“ მიზნად ისახავს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხების ახალ გაძარცვასა და ექსპლოატაციას. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები სრულებითაც არ ფიქრობენ ამ ქვეყნების მოსახლეობის კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათს დამოუკიდებლობაზე. მათი გეგმების მიზანია ჩამორჩენილ ქვეყნებში უცხოეთის კაპიტალის ბატონობის შენარჩუნება.

ვაშინგტონსა და ლონდონში შედგენილი „მეოთხე პუნქტი“ და „კოლომბოს გეგმა“ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ შედგენილი გეგმებია. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები იარაღით ხელში გმირულ ბრძოლას ეწევიან არა მარტო ამერიკელთა და ინგლისელთა, არამედ ყოველგვარი იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ყველგან სათავეში უდგას პროლეტარიატი, მას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ თანაუგრძნობს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ი. ტაბალუა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲒᲘ

წყალტუბო

თბილისი. მაისის მიწურული. დამის პირველი საათი. „ბორჯომის ჩიხში“ დგას წყალტუბოში მიმავალი მატარებელი. ვაგონები თანდათან ივსება მგზავრებით. იმართება ცხოველი ბაასი. ზოგი სახსრებს უჩივის, ზოგი გულს, ზოგი ნერვებს, ზოგიც თავის ტკივილს. საკითხავი არ არის — ყველა წყალტუბოში მიემგზავრება და ყველას დანამდვილებით სჯერა, რომ წყალტუბო გამოაჯანმრთელებს.

ჩვენს კუპეში შემოდის ტანდაბალი და გამხდარი მოხუცი. მის ხორბლისფერ სახეს მკმუნვარების ღაღი აზის. იგი ნელა, სულ ნელა დაჯდა და დაჯდომისთანავე მუხლებზე წაიტანა ხელები. ხელისგულებით დიდხანს უალერსა მუხლისთავებს, მერმე თითქოს დაიღალაო — უცებ მოეშვა და წამოწვა.

ქალიშვილმა, რომელიც მას ახლდა, სასწრაფოდ გახსნა ჩემოდანი და მოუხედავად იმისა, რომ კუპეში საკმაოდ ცხელოდა, ფეხებზე თბილი ხაბანი წაახურა და დაბალი ხმით ჩაეკითხა:

— მამა, დაიღალე?

მოხუცმა ხმა არ გაიღო და ქალიშვილმა თითქოს მოხუცი მამის გასამართლებლად წარმოთქვა:

— ცხადია, დაიღალა! ეს-ეს არის ერთი მატარებლიდან მეორეში გადმოვინაცვლეთ... ბაქოდან მოვდივართ.

... ეს ბერიკაცი ბურღვის ოსტატია, მისი ჭაბურღილი ხმელეთზე კი არა, ზღვაშია ამართული. და ერთხელ, სამი წლის წინათ, ივლისის მხურვალე დღეს გაოფლილი შეცურდა ზღვაში მირზა ბეიბუთოვი. მას შემდეგ სახსრების ტეხა არ ასვენებს.

— არა,—ჩაერია საუბარში მოხუცი, — მუხლისთავები ადრეც მტკიოდა, განსაკუთრებით ღრუბლიან ამინდში, მაგრამ იმ დღის შემდეგ საცარად იმძლავრა და დამხუთა... მიტომაც მივდივარ წყალტუბოში. არც ისე დიდი ხნისა ვარ... სამოცში გადავაბიჯე! ერთი მეგობარი მყავს — სამოცდაშვიდი წლისაა, შარშანწინ საკაცეზე დაწოლილი წამოიყვანეს წყალტუბოში და ნუ გაიკვირვებთ — წელს ისევ მუშაობს და ბურღავს...

თითქოს მოხუცის ნათქვამის დასადასტურებლად მეზობელ კუპეში ჩაიმღერა მგზავრმა:

წყალტუბოში წყალი არის —
სასწაულის ჩამდენია...

* * *

— წყალტუბოს რეაქტიული წყალი ისეთი თვისებისაა... ასე დაიწყო საუბარი საკურორტო სამმართველოს უფროსმა ვ. ჩიქოვანმა, მაგრამ საუბარი არ გაგრძელა. კაბინეტის ღია ფანჯარასთან ნაცნობმა გაიარა, ჩიქოვანი მას მიეხალმა და სთხოვა კაბინეტში შესულიყო.

— დიახ, ასე აჯობებს! ზეპირსიტყვაობას ცოცხალი ფაქტი გვირჩევნია, მობრძანდით ამბანაგო წაქაძე!

კაბინეტში შემოვიდა შუახნის, ჩასკვნილი, საშუალო ტანის ვაჟკაცი. მას საოცრად ცოცხალი თვალები აქვს. ზომაზე მეტად მოძრაობს, ჩანს საშური საქმე ელოდება.

— ხვალ კვირადღეა, — ბოხი და მკაფიო ხმით წარმოთქვა მან, მაგრამ სანატორიუმის მშენებლობას ვერ შევაჩერებთ, დაგვჭირდება ათი საბარგო მანქანა.

— აი ეს ადამიანი, ამხანაგი წაქაძე, გახლავთ „ცოცხალი ფაქტი“, — განაგრძო საუბარი კურორტის უფროსმა, თითქოს აურიც არ დაუგდია წაქაძისათვის:

... 1943 წლის შემოდგომა. წყალტუბოში სისტემატურად ჩამოსავთ მძიმედ დაჭრილი მეომრები. წყალტუბოს თბილ ამბანებს იმ დროს ერთად ერთი დანიშნულება ჰქონდა — რაც შეიძლება მალე აღიდგინა ბრძოლისუნარიანობა ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. ერთ ღამეს ჰოსპიტალში მოიყვანეს მძიმედ დაჭრილ ოფიცერთა ჯგუფი, მათ შორის ყველაზე უიმედო მდგომარეობაში იყო სწორედ წაქაძე. მას ხერხემლის ძვალი ჰქონდა გამრუდებული.

იმ ღამესვე დაუწყეს ამბანებით მკურნალობა ამხანაგ წაქაძეს, და დანამდვილებით გეტყვით... დიახ, სრული ოთხი თვის შემდეგ ჩვენმა სტუმარმა ისევ ფრონტს მიაშურა! ახლა კი აქ წყალტუბოში მუშაობს. აგერ გორაკზე რომ ვეებერთელა შენობაა წამოჭიმული, ეს ერთ-ერთი სამინისტროს სანატორიუმია, მშენებლობის უფროსი სწორედ ამხანაგი წაქაძეა.

წაქაძე მოუსვენრად იჯდა სავარძელში. იგი მარდად წამოდგა, ისევ მოითხოვა ხვალისათვის ათი საბარგო ავტომანქანა და როცა თანხმობა მიიღო, ნელი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ძნელია დარწმუნდეთ, რომ ეს კაცი ოდესმე ხერხემალგალუნული იყო. ამ „ცოცხალ ფაქტს“ მცირე ხნის შემდეგ კიდევ ერთი მიემატა.

* * *

წყალტუბოს საანბანოების უფროსმა ექიმმა დიმიტრი ჩახნაშვილმა შვიდიდე ანბანი შემოგვატარა. ომის შემდეგ აგებული მეექვსე ანბანი კურორტის თვალია. მას ავადმყოფნი სამარმოლიანად უწოდებენ სამკურნალო კომბინატს. უახლეს ტექნიკასთან შერწყმულია მაღალმხატვრული არქიტექტურა. გზიბლავთ კამარიანი მოჩუქურთმებული თაღები, კარ-ფანჯარა, მოზაიკური იატაკი, დიდი საანბანანო აუზები. ამ ნათელ და მიმზიდველ შენობას სამკაულივით ამკობს ნაირფერადი ყვავილებით დამშვენებული პატარა სკვერი.

ამ სკვერში ვზიავართ და დიმიტრი ჩახნაშვილი დაწვრილებით გვიამბობს წყალტუბოს ადრინდელ და ახლანდელ ამბავს.

— ჩვენთან ერთი ხანდაზმული ექიმია — ლეონიდე ნაზარიშვილი. მისი მამა დიმიტრი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იყო. მთელი სიცოცხლე იღვწოდა წყალტუბოში ერთი ხერხიანი საანბანანო შენობის აგებისათვის. დიდი ვაი-ვაგლახით მეფის რუსეთის მთავრობამ მცირეოდენი თანხა უწყალობა, მაგრამ ქალაქ თბილისის თავმა ხატისოვმა ააგდო ქვა და თავი შეუშვირა — ეს თანხა თბილისს უნდა მოვახმარო, თბილ წყალში ღია ცის ქვეშაც არხეინად შეგიძლიათ იბანაოთო... ხალხი მართლაც ღია ცისქვეშ იღებდა „ანბანებს“, არც ექიმების რჩევა-დარიგება იყო და არც მეთვალყურეობა... რასაც ხედავთ, ყველაფერი ახალია, საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული და აშენებული! ახლა წყალტუბოში ოერთმეტი სანატორიუმია და ამ ტაფობის ტერასებზე ხარაჩოების ტყე გაშლილა — სწრაფი ტემპით შენდება საბჭოთა კავშირის გზათა, მძიმე მრეწველობის, საშენ მასალათა, ელექტროსადგურების სამინისტროების სანატორიუმები. უკვე შემოცალეს ხარაჩოები თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის შენობას. ეს ერთ-ერთი უდიდესი სანატორიუმი იქნება წყალტუბოში. ერთდროულად ხუთასი ავადმყოფი იმკურნალებს. შარშან მწყობრში ჩადგა საკურორტო სამმართველოს სასტუმრო-კლინიკა „თბილისი“, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ორასორმოცდაათადგილიანი სანატორიუმი... სამკურნალოდ ჩამოსულთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება: შარშან წყალტუბოს ანბანებით ორმოცმა ათასმა კაცმა იმკურნალა, წელს კი ორმოცდახუთიათასა კაცს უნდა მოვემახსოვროთ...

... მეორე „ცოცხალი ფაქტი“ თვითონ დიმიტრი ჩახნაშვილია.

— მე ამ ანბანებმა გამხადა წყალტუბოს მკვიდრი. სიღნაღის რაიონიდან ვარ, გაგეგოთ ბათუმ სოფელი მაშნაარი. ექიმად ვმუშაობდი. 1934 წლის ზამთარში დამით შორეულ სოფელში მომიხდა წასვლა. მძიმე ავადმყოფი მელოდებოდა. ცხენს ფეხი დაუსლტა და მე, და ცხენი ერთად დავენარცხეთ მიწას. გადამტყდა მარჯვენა ფეხის წვივის ძვალი. დავკოჭლდი. ბევრი ვიმკურნალე. ტკივილმა გამიარა, მაგრამ კოჭლობას არაფერი ეშველა. 1937 წელს წყალტუბოში ჩამოვედი. მივიღე ოცი ანბანა, და ჩემი წვივი... საილუსტრაციოდ მარჯვენა ფეხი შეათამაშა დიმიტრი ჩახნაშვილმა, — ჩემი გატეხილი წვივი სავსებით არა, მაგრამ საგრძნობლად, დიახ, საგრძნობლად გამრთელდა. ექვსი თვის შემდეგ მეორედ ვიმკურნალე და ჩემი სიკოჭლე სამუდამოდ გაქრა.

ზეზე წამოდგა დიმიტრი ჩახნაშვილი. და უთუოდ ისევ ფაქ

„მშვიდობის, სიხარულისა და ბედნიერების ქვეყანა“

საბჭოთა კავშირში ნამყოფ ბრაზილიელთა განცხადებანი

მონტევიდეო, 5 ივნისი. (საკდესი). ბრაზილიის გაზეთმა „იმპრენსა პოპულარმა“ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში ნამყოფ ბრაზილიელთა განცხადებანი. ისინი მოგვითხრობენ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე, რაც მათ მიიღეს მოსკოვში, სტალინგრადში, უზბეკეთისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში ყოფნისას, ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხის დათვალიერებისას, საბჭოთა ადამიანებთან საუბარში; ისინი მოგვითხრობენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებზე, საბჭოთა ხალხის მაღალ მატერიალურ და კულტურულ დონეზე. ბრაზილიელ დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მთავრობის მისწრაფებამ მშვიდობისადმი.

მუშა ვალდებრანდო რიდეირო დე კეიროზმა განაცხადა: „პირველი, რაც საბჭოთა კავშირში თვალში მომხვდა, არის საბჭოთა ხალხის მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი. ყველგან, სადაც კი ვიყავი, ხალხი ლაპარაკობდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაზე, როგორც თავის ერთერთ სანუკვარ სურვილზე“.

სანპაულელი ფეიქარი ერონდინა არუდა მოგვითხრობს: „როცა საბჭოთა კავშირში ჩავედი, თითქოს სულ სხვა სამყაროში ვიგრძენი თავი. არსებითად ასეც იყო. ხალხის სიხარული და მორალური ძალა, ცხოვრებისა და შრომის საუცხოო პირობები მოწმობდნენ, რომ ჩვენ ვიყავით მშვიდობის, სიხარულისა და ბედნიერების ქვეყანაში“. ყველგან, განაგრძობს იგი, სიყვარულით და პატივისცემით გვეპყრობოდნენ. ეხება რა საპრეზიდიუმისო დემონსტრაციას მოსკოვში, ერონდინა არუდა აღნიშნავს, რომ დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგით: „გაუმარჯოს მშვიდობას“. ერონდინა არუდა აღნიშნავს, რომ ინახულა მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი საფეიქრო ფაბრიკა, სადაც მუშების 80 პროცენტი ქალებია. ამ ფაბრიკის ფეიქართა ცხოვრებისა და შრომის პირობები, ამბობს იგი, მართლაც შესანიშნავია. მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის პროგრესი ნიშნავს უმუშევრობასა და სიღატაკეს, სსრ კავშირში მუშათა კლასისათვის იგი ნიშნავს წარმოების ზრდას ძალების ნაკლები ხარჯვის პირობებში. საბჭოთა მუშებმა მიაღწიეს ცხოვრების ისეთ პირობებს, როგორიც მიუწვდომელია კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისათვის.

ცნობილი მსახიობი ჟაკსონ დე სოუზა აღტაცებით მოგვითხრობს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხზე და უზბეკეთის სსრ მიღწევებზე. იქ, ამბობს იგი, ჩვენ პირადად ვნახეთ უდიდესი წარმატებები ქვეყნისა, რომელიც მონობისაგან განთავისუფლდა სოციალისტური წყობილების მეოხებით და რუსი და სსრ კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით.

ერთიანობა, მშვიდობა, დამოუკიდებლობა!

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის მიმართვა დასავლეთ გერმანიის მშრომელებისადმი

ბერლინი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება გერმანიის კომპარტიის გამგეობამ მიიღო მიმართვა დასავლეთ გერმანიის მშრომელებისადმი ბუნდესტაგის არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოა მძიმე საარჩევნო ბრძოლა, რადგან საქმე ეხება ადენაუერის რეჟიმის დამარცხების მომზადებას, ხალხთა მასების მობილიზაციას ეროვნული გაერთიანების მთავრობის შექმნისათვის საბრძოლველად.

ეხება რა ბონის მმართველი ხროვის მისწრაფებას — ყალთაბანდობისა და ტერორის საშუალებით მოიპოვოს უმრავლესობა ახალ ბუნდესტაგში და ამით შეინარჩუნოს თავისი შემოსავლიანი ადგილები, გერმანიის კომპარტიის გამგეობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელ ხალხს სურს ერთიანობა, მშვიდობა, დამოუკიდებლობა და სოციალური აღმავლობა და რომ ამიტომ საარჩევნო ბრძოლაში ის დარტყმას დარტყმაზე აგებს თავის მტრებსა და მათს ომის პოლიტიკას.

მიმართვა მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშით დაირაზმოს ლოზუნგით: „ერთიანობა, მშვიდობა, დამოუკიდებლობა“.

მშვიდობის პაქტისათვის!

ჰელსინკი, 5 ივნისი. (საკდესი). „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციამ პრემიერ-მინისტრ კეკონენს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ წამოაყენა წინადადება მხარი დაუჭირონ მიმართვას — მოიწყოს ხუთი დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ კომისიის ამ მიმართვას პასუხი გასცა ბევრმა ქვეყანამ. ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებას მხარი დაუჭირეს აგრეთვე ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ეს მოწმობს, ხაზგასმით აღნიშნულია წერილში, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკებას.

ფინეთის მშვიდობის მომხრეთა წერილში აღნიშნულია, რომ ფინელმა ხალხმაც გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე. ფინეთის 850 ათასამდე მოქალაქემ ხელი მოაწერა მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მშვიდობის მომხრენი ითხოვენ, რომ ფინეთის მთავრობამ მხარი დაუჭიროს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებებს, დადებითი პასუხი გასცეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილს.

ძალაში შევიდა დანიის ახალი კონსტიტუცია

კოპენჰაგენი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს მეფემ ხელი მოაწერა დანიის ახალ კონსტიტუციას. ამრიგად, დანიის ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

ასეთია მშრომელთა ცხოვრება კოლონიებში



ულვნებაც კი ადვილად დააკარგვინებს ამ სამუშაოს, ხოლო მათ ადგილზე შეიძლება მუშახელის დაქირავება უმუშევართა მილიონიანი არმიიდან.

უკეთესი მდგომარეობა არც სხვა დამონებულ ქვეყნებშია. კერძოდ, 70 წელია, რაც საფრანგეთის უღელქვეშ გმინავს ტუნისი. ფრანგი კოლონიზატორები იტაცებენ ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და საშინელ ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც შემაძრწუნებელ სიღატაკეში ცხოვრობს. მცხოვრებთა 84 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. სასკოლო ასაკის 7 ბავშვიდან მხოლოდ ერთსა აქვს სწავლის შესაძლებლობა. ბავშვების ოცი პროცენტი ერთ წლამდე ვერ ძლებს და კვდება. გაჯირვება აიძულებს ტუნისელ ახალგაზრდებს ადრე მოჰკიდონ ხელი მათი ძალღონის შეუფერებელ შრომას.

ქვემო სურათზე (ფოტო ფრანგულ ჟურნალ „რეგარიდან“) აღბეჭდილი არიან უსახლკარო, მძიმე შრომით ქანცმილეული ტუნისელი ახალგაზრდები, რომლებიც პირდაპირ ტროტუარზე ათევენ ღამეს.

მეტად მძიმე და სავალალოა მშრომელთა მდგომარეობა კოლონიურ ქვეყნებში. მხეცური ექსპლოატაცია და აუტანელი სიღატაკე, რომელსაც ამ ქვეყნების მუშები და გლეხები განიცდიან, კატასტროფულ ხასიათს იღებს. ადამიანები მოკლებული არიან არსებობის ელემენტარულ პირობებს, მოკალაქეობრივ უფლებებს.

განსაკუთრებით მძიმეა ინდოეთის მუშათა შრომის პირობები. საწარმოთა მეპატრონეები სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ მათ. მძიმე, ფიზიკურად გამომფიტველ შრომაში მუშები მხოლოდ მათხოვრულ ხელფასს იღებენ.

ზემო სურათზეა ბომბეის სამრეცხაო (საკდესის ფოტოქრონიკა), სადაც არაადამიანურ პირობებში ატარებენ დღეღამის ნახევარზე მეტს ინდოელი მრეცხავები. შიმშილით არაქათგამოლეკულ ადამიანებს, მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დგომა და სარეცხის წყლის ორთქლის სუნთქვა რომ უხდებათ, არათუ ოჯახის, საკუთარი თავის გამოსაკვებადაც ძლივს ჰყოფნით აქ მიღებული გროშები. გარდა ამისა, ისინი მუდამ იმ საფრთხეში არიან, რომ რაიმე უკმაყოფილების ოდნავი გამომჟღავნებაც კი ადვილად დააკარგვინებს ამ სამუშაოს, ხოლო მათ ადგილზე შეიძლება მუშახელის დაქირავება უმუშევართა მილიონიანი არმიიდან.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 5 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 5 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილ დღეს ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. ფრონტის ზოგიერთ უბანზე წარმოებდა საარტილერიო სროლა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 და დააზიანეს 1 თვითმფრინავი.

საფრანგეთის სასამართლო ხელისუფალთა უკანონობა

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, პატიმრობაში მყოფმა ფრანგმა დემოკრატმა მოღვაწეებმა ალენ ლე ლეპმა, ანდრე სტილმა, ლიუსიენ მოლინომ, გი დიუკლოსნემ, პოლ ლორანმა და ლუი ბაიომ მოითხოვეს განთავისუფლება იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება მათ „საქმეზე“ დამთავრებულია და, მაშასადამე, აღარ არის საბაბი მათი საპყრობილეში დატოვებისათვის, რაც ვითომდა საჭირო იყო „ეშმარიტების გამოსარკვევად“. იმის გამო, რომ სასამართლოს გამომძიებლებმა მიშელმა და დიუვალმა უარყვეს ეს მოთხოვნა, ლე ლეპმა და სხვა დაპატიმრებულმა დემოკრატებმა მიმართეს პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატას.

დღეს გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ საგამომძიებლო პალატამაც უარი თქვა გაათავისუფლოს დემოკრატიული ორგანიზაციების დაპატიმრებული ხელმძღვანელები, იმ საბაბით, რომ „28 მაისს მათი საქმე გადაეცა პარიზის სამხედრო ტრიბუნალს, რათა მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც ჩანს, გამბატანილ უნდა იქნას მოკლე ვადაში, ამასთან ბრალდებად წაყენებული ფაქტები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც დანაშაული“.

ზანგების მასობრივი დახოცვა კენიაში

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ ეხება ნაირობის (კენია) პოლიციის სამმართველოს განცხადებას, რომელიც 4 ივნისს გამოქვეყნდა, რომ უკანასკნელ 24 საათში ინგლისელმა ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა 19 ზანგი მოკლეს კიკუიუს ტომის რეზერვაციებში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ. ამრიგად, უკანასკნელ კვირაში მოკლეს 130-ზე მეტი ზანგი, გარდა იმ ზანგებისა, რომელთა დახოცვა ოფიციალურად არ აღრიცხება.

სარედაქციო სტატიაში გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზანგების მკვლელობის რიცხვი (ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარე წლის აპრილამდე დახოცილი ზანგების რიცხვმა 430 მიაღწია) სწრაფად იზრდება. „კენიაში — წერს გაზეთი, — გამეფებულია ტერორი, რომლის სისასტიკე შეიძლება შევადაროთ მხოლოდ საოკუპაციო რეჟიმს, რომელსაც ნაცისტსს-ელთა ნაწილები ამყარებდნენ, და კოლონიათა სამინისტრო თავს ვერ დაიღწევს პასუხისმგებლობას ამ მხეცობისათვის“.

კენიის ზანგთა კავშირმა აღნიშნა, რომ მას მოსდის დამოწმებული განცხადებანი, რომლებშიც ლაპარაკია, თუ როგორ ხვრეტენ ზანგებს უშიშროების ჯარის რაზმები. ამ განცხადებათა ავტორები მოითხოვენ, რომ ექსპერტთა კომისიამ გამოიძიოს ამ რაზმების მოქმედება.

გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულეს ეს თხოვნა, მაგრამ შეეცადნენ დაეფარათ ჯარისკაცთა და პოლიციელთა სამარცხვინო მოქმედება. როცა ირლანდიელმა იურისტმა პიტერ ევანსმა ხელისუფლებს წარუდგინა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ პოლიცია მონაწილეობას იღებს მკვლელობაში, იგი სასწრაფოდ გააძევეს კენიადან.

გაზეთი მტკიცედ მოითხოვს, რომ პარლამენტში ლეიბორისტულმა პარტიამ მოითხოვოს — შეწყდეს მხეცობა, რაც კენიაში ხდება, და კენიის ზანგებს მიენიჭოთ თავისუფლება.

გაიხსნა ქალთა მსოფლიო კონგრესი

კოპენჰაგენი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს კოპენჰაგენში გაიხსნა ქალთა მსოფლიო კონგრესი. დარბაზი მორთულია სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე წარწერილია: „გაუმარჯოს ქალთა მსოფლიო კონგრესს! მთელი მსოფლიოს ქალებო, იბრძოლეთ ჩვენი უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის! ჩვენი ბავშვებისა და ჩვენი ოჯახების დაცვისათვის! მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის!“

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 53 ქვეყნის 800-ზე მეტი დელეგატი. დღეს და ხვალ მოელიან ახალი დელეგაციების ჩამოსვლას. კონგრესს არ ესწრებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამისა და მალაიის დელეგაციები, რომლებსაც დანიის ხელისუფლებამ არ მისცეს შესასვლელი ვიზები.

კონგრესს, დელეგატების გარდა, ესწრება აგრეთვე 1000-ზე მეტი სტუმარი.

კონგრესის დელეგატებს მიესალმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დანიის განყოფილების თავმჯდომარე რუტ ჰერმანი.

შემდეგ კონგრესმა ერთხმად აირჩია პრეზიდიუმი ქ-ნ ეჟენი კოტონის მეთაურობით.

შესავალ სიტყვაში ეჟენი კოტონმა განაცხადა: ჩვენს წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ბავშვების რაც შეიძლება უკეთ აღზრდის მოვალეობა ჩვენთვის ახალი რამ არის. ეს მუდამ იყო დედების ყველაზე დიდი საზრუნავი, მაგრამ თანამედროვე ვითარება აიძულებს ყველა ქალს ეკიდეს უფრო დიდი პასუხისმგებლობა იგრძნოს თავისი შვილების მიმართ. ამასწინანდელი ომი, ისე როგორც ამჟამად წარმოებული ომები, მძიმე ტვირთად აწვება სამოქალაქო მოსახლეობას. სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტი ქალი ასეთი ენთუზიაზმით იღებს მონაწილეობას მშვიდობის მომხრეთა შესანიშნავ მოძრაობაში. ქალები ითვალისწინებენ, რომ მათი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ისინი რომ ყველა დარგში სარგებლობდნენ მამაკაცის თანაბარი უფლებებით.

გაერთიანებით, თქვა დასასრულ ეჟენი კოტონმა, ქალები მიაღწევენ იმას, რომ ახლანდელი კონგრესი გადამწყვეტი ეტაპი იქნება მათს ბრძოლაში თავიანთი უფლებების მოპოვებისათვის, ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

კონგრესმა დამატკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. ქალების მოკანები—ქალების როგორც დედების, მშრომელებისა და მოქალაქეების უფლებათა მოპოვებისა და დაცვისათვის ბრძოლაში; 2. მშვიდობისა და ქალთა და ბავშვთა ინტერესების დასაცავად ქალების მოქმედების შედეგები და პერსპექტივები; 3. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ხელმძღვანელობის არჩევნები.

იტალიის პარლამენტის არჩევნების წინ

რომი, 6 ივნისი. (საკდესი). წინასაარჩევნო კამპანია იტალიაში პრაქტიკულად დამთავრდა. 7 ივნისს დილის 6 საათიდან 22 საათამდე და 8 ივნისს 7 საათიდან 14 საათამდე იწარმოებს ხმის მიცემა. 48.743 საარჩევნო უბანში დაიდგმება ორ-ორი ურნა: ერთი — სენატის კანდიდატების ბიულეტენებისათვის, მეორე — დეპუტატთა პალატის კანდიდატებისათვის მიცემული ბიულეტენებისათვის. დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნები მოხდება ერთსა და იმავე დროს.

დეპუტატთა პალატა (590 დეპუტატი) ირჩევა ხუთი წლის ვადით იმ ახალი ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც მიაღებინა პარლამენტს კლერიკალურმა უმრავლესობამ. ქრისტიანამ დემოკრატებმა არ დაუშვეს კანონის განხილვა არსებითად და რაიმე ცვლილების შეტანა მასში ოპოზიციის მიერ. ამ კანონის მთავარი მიზანია შესაძლებლობა მისცეს მმართველ ქრისტიან დემოკრატთა პარტიას ზოგიერთ წვრილ პარტიასთან ბლოკით ხელი იგდოს ეგრეთწოდებული „უმრავლესობის პრემია“. კანონით დადგენილია ისეთი წესი, რომლის თანახმადაც ის პარტია ან პარტიების ბლოკი, რომელიც ხმათა 50 პროცენტზე მეტს მიიღებს, დეპუტატთა პალატაში იღებს ადგილების 65 პროცენტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ირღვევა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.

იმისათვის, რომ „უმრავლესობის პრემიაზე“ პრეტენზიის უფლება ჰქონდეთ, პარტიებმა არჩევნების წინ უნდა განაცხადონ, რომ „აერთებენ თავიანთ სიებს“. ეს იმას ოდი ნიშნავს, რომ ისინი საერთო პროგრამას სთავაზობდნენ თავიანთ ამომრჩევლებს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათთვის მიცემული ხმები ერთად იანგარიშონ.

თუ დეპუტატთა პალატაში ხმის მიცემის შედეგად ვერც ერთი პარტია ან პარტიათა ბლოკი ვერ იღებს აბსოლუტურ უმრავლესობას, მაშინ ადგილებს ანაწილებენ ყველა პარტიას შორის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულად.

სენატის არჩევნები (237 სენატორი) ხდება წინანდელი სისტემით; თითეული საარჩევნო ოლქი ირჩევს ერთ სენატორს. სენატი ირჩევა ექვსი წლის ვადით. წარსული შემადგენლობის სენატი დათხოვნილ იქნა ვადამდე, რადგან მისი შემადგენლობა სასურველი არ იყო იტალიის მმართველი წრეებისათვის: ამ სენატში შედიოდა ბევრი ისეთი სენატორი, რომელმაც „სამართლიანად“ მოიპოვა ეს უფლება თავისი წარსული ანტიფაშისტური საქმიანობით. ბევრმა დამოუკიდებელმა მოღვაწემ მხარი დაუჭირა სენატში კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ბრძოლას ახალი საარჩევნო კანონის წინააღმდეგ.

სენატში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების სულ ცოტა 65 პროცენტს, შეუესებლად დარჩენილ ადგილებს განაწილებენ სხვადასხვა პარტიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულად.

ქრისტიან დემოკრატთა პარტია ბლოკს კრავს სოციალ-დემოკრატებთან, ლიბერალებთან და რესპუბლიკურ პარტიასთან. ეს სამი უკანასკნელი პატარა პარტია მხარს უჭერს კლერიკალურ ქრისტიან დემოკრატთა პარტიას იმ იმედით, რომ მისი დახმარებით მიიღებენ ადგილებს პარლამენტში. ეს ეგრეთწოდებული „ბლოკირება“ წარმოადგენს უპირინციპო წინასაარჩევნო მაქინაციას, რომლის მსგავლიც უწინარეს ყოვლისა გახდებიან ამომრჩეველები, რადგან ხსენებული პარტიები აყენებენ ცალკე სიებს და მათი „ბლოკირება“ ძალაში შევა მხოლოდ ხმების დათვლის დროს.

ცალკე გამოდიან მონარქისტული პარტია და ეგრეთწოდებული „იტალიის სოციალური მოძრაობა“ — ნეოფაშისტური პარტია.

კლერიკალურ ბლოკს, აგრეთვე მონარქისტებსა და ფაშისტებს უპირისპირდებიან კომუნისტური პარტია და სოციალისტური პარტია; ახლანდელი მთავრობის პარტიების ბლოკის წინააღმდეგ გამოდის აგრეთვე „ეროვნული დემოკრატიული კავშირი“ — ახალი დაჯგუფება, რომელიც შეიქმნა არჩევნების წინ ქრისტიან დემოკრატთა და ლიბერალური პარტიებიდან გასული მთელი რიგი დამოუკიდებელი მოღვაწეებისაგან.

დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა წამოაყენეს დამოუკიდებელი სიები. მათ, როგორც პრესა იუწყება, საარჩევნო კამპანიის წარმოება მოუხდათ რთულ ვითარებაში, რადგან ქრისტიანმა დემოკრატებმა გამოიყენეს სულ სხვადასხვა საშუალებანი — დაშინება, პოლიციური თვითნებობა. მიტინგების აკრძალვა. ორატორების დაპატიმრება, რათა ხელი შეეშალათ მემარცხენე პარტიების წინასაარჩევნო პროპაგანდისათვის.

დეპუტატთა პალატის არჩევნების სიებში შეტანილ ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 30.348.789-ს (ხმის უფლება ენიჭება არანაკლებ 20 წლის ასაკის ორივე სქესის იტალიელს); სენატის ამომრჩეველთა რიცხვი — 27.236.113-ს (ამომრჩეველი უნდა იყოს არანაკლებ 25 წლის ასაკისა). მოსალოდნელია, რომ ხმის მიცემის საერთო შედეგი — მიიღო თუ არა მთავრობის ბლოკმა „უმრავლესობის პრემია“ — ცნობილი გახდება მხოლოდ 9 ივნისს ღამით. საბოლოო შედეგები ალბათ მხოლოდ 15 ივნისს გამოცხადდება.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის კრებულმა ფეხბურთში

საბჭოთა კავშირის XV ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. 15 კალენდარული შეხვედრის შემდეგ შეჯამებული იქნება „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ორი თვის ბრძოლის შედეგები.

დღეისათვის გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს 7 თამაში, ზოგიერთს — 8. წარმატებით იბრძვის ლენინგრადის — „ზენიტი“, რომელმაც უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან ოთხივე მოიგო და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. ლენინგრადის „ზენიტს“ 8 თამაშიდან ბურთების შეფარდებით 7:4 შეგროვებული აქვს 11 ქულა.

კუბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრის მოგებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა — პირველობის გათამაშების ცხრილში 7 თამაშიდან 7 შეგროვებული 9 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

7 თამაშიდან 9 ქულა აქვს აგრეთვე თბილისის „დინამოს“, რომელიც მესამე ადგილზეა. მეოთხე ადგილი უკავია მოსკოვის „ტორპედოს“ (7 თამაშიდან 9 ქულა), მეხუთე — მოსკოვის „ლოკომოტივს“ (8 თამაშიდან 9 ქულა), მეექვსე — დედაქალაქის „სპარტაკს“ (7 თამაშიდან 8 ქულა), მეშვიდე — მოსკოვის „დინამოს“ (8 თამაშიდან 7 ქულა), მერვე — კიევის „დინამოს“ (7 თამაშიდან 6 ქულა), მეცხრე — ვილნიუსის „სპარტაკს“ (7 თამაშიდან 6 ქულა), მეათე — ხარკოვის „ლოკომოტივს“ (7 თამაშიდან 4 ქულა), მეთერთმეტე — ლენინგრადის „დინამოს“ (7 თამაშიდან 2 ქულა).

საქართველოს სვადიონებზე

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარეობს შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის პირველობაზე. პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები გაიმართა თბილისში, ხაშურში, ზუგდიდში, სტალინირში, ბორჯომში, წითელწყაროში.

ხაშურში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და მახარაძის „კოლმეურნის“ გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2:1. ზუგდიდის დინამოელებმა თავიანთ მეიდანზე ანგარიშით 1:3 წაიგეს შეჯიბრება მათს სუხუმელ თანაკლუბელებთან. ბათუმის „დინამომ“ სტალინირში მოუგო ადგილობრივ „სპარტაკს“ 5:0.

ჩემპიონატის მეორე დღეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა მოუგო გორის „დინამოს“ ანგარიშით 1:0, ბორჯომის ნაკრებმა გუნდმა — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ფეხბურთელთა კოლექტივს 2:1, სკიფის („მედიცი“) გუნდმა — თელავის „დინამოს“ 1:0, 26 კომისრის რაიონის გუნდმა — წითელწყაროს „ნეფტიანიკს“ 2:1.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები.



საქართველოს XIV პირველობა

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ა. ბუსლაევმა მოუგო ა. დავრანიანსა და ე. მიქაელიანს; ნ. სოროკინმა წაიგო ბ. გურგენიძესთან, მოუგო ნ. ბახტაძეს და ყაიმით დაამთავრა პარტია ი. ჩიქოვანთან; გ. გაჩეჩილაძემ მოუგო ა. დავრანიანს და ყაიმით დაამთავრა პარტია ა. გამრეკელთან; ი. ჩიქოვანისა და ა. გამრეკელის, აგრეთვე ლ. ზაიჩიკისა და ნ. ბახტაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა; მ. შიშოვმა მოუგო ჰ. არნშტეინს, ა. გამრეკელმა — ე. მიქაელიანს.

15 ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერია ა. ბუსლაევი, რომელსაც აქვს 11½ ქულა; ა. ბლაგიძეს აქვს 10½ ქულა, ნ. სოროკინს, ბ. გურგენიძეს, ო. ელიოზოშვილს, თ. გიორგაძესა და მ. შიშოვს — 8½ ქულა თითეულს.

დღეს, 7 ივნისს, გაიმართება მე-16 ტური.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

7 ივნისს	დღის 12 საათზე ბ. ფალიაშვილი — **დაინი** საღამოს ჟ. ბიზე — **კარმენი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 18 ივნისს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტატიანა ნიკოლოზის ასული შადური** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Грузинская лексика в русской литературе первой половины XIX века“.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **გ. ახვლედიანი**, დოცენტი მეცნიერებათა კანდიდატი **ე. კრემერი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 17 ივნისს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მამია მაძესიმეს ასული გერძენიშვილი** დაიცავს დისერტაციის თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის „დაწერილი“ XI საუკუნისა, როგორც ხალხური ფოლკლორი“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი **ს. ყაუხჩიშვილი**, დოცენტი მეცნიერებათა კანდიდატი **ვ. დონდუა**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტების მიღებას შემდეგი ფაკულტეტების დღისა და საღამოს განყოფილებათა I კურსზე:

1. მექანიკური (დღის და საღამოს განყოფილება), 2. სამშენებლო (დღის და საღამოს განყოფილება), 3. საექსპლოატაციო (დღის განყოფილება). 4. ხიდებისა და გვირაბების (დღის განყოფილება), 5. ელექტროტრანსპორტის (დღის განყოფილება).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ წარჩინების დიპლომი, ჩარიცხული არიან ტექნიკუმის გამოშვების 5%-მი და ინსტიტუტში შემოდიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდებს: მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, რუსულ და უცხო ენაში. ქართულ სექტორზე შემსვლელები დამატებით აბარებენ გამოცდას დედაენასა და ლიტერატურაში და თავისუფლდებიან უცხო ენაში გამოცდისაგან. ის პირები, რომლებიც შედიან სამშენებლო და ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტებზე, თავისუფლდებიან ქიმიაში გამოცდისაგან და გამოცდას აბარებენ ხაზვასა და ხატვაში, მათ შორის მედალისტებიც.

საღამოს განყოფილებაზე შემსვლელნი თავისუფლდებიან უცხო ენაში გამოცდისაგან.

ინსტიტუტის უფროსის სახელზე შეტანილ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. სიმწიფის მოწმობა საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი). 2. ავტობიოგრაფია, 3. 3 ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ.), 4. სამხედრო ბილეთი და პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად), 5. საღამოს განყოფილებაზე შესვლის მსურველებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ცნობა სამუშაო ადგილიდან, თანამდებობის აღნიშვნით და საწარმოო დახასიათება.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

სხვა ქალაქებში მცხოვრებლებმა განცხადებები და საბუთები უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 98, მიმღებ კომისიას.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 19 ივნისს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მ